



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: პირობითი მსჯავრის სისხლისსამართლებრივი და  
კრიმინოლოგიური ასპექტები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ნანა გომნიაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი  
ლობჯანიძე

გივი

თბილისი

2019

**შინაარსი**

ანოტაცია .....	4
Annotation .....	5
შესავალი.....	6
<b>თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა .....</b>	<b>9</b>
<b>თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი .....</b>	<b>13</b>
§ 2.1. დანაშაული და დამნაშავეობა. დანაშაულის ცნება .....	13
2.1.1. დანაშაულის და დამნაშავეობის სისხლისსამართლებრივი ანალიზი .....	16
2.1.2. დანაშაული და დამნაშავეობა კრიმინოლოგიური და სოციალურ- სამართლებრივი გაგებით .....	18
§ 2.2. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ანალიზი .....	22
§ 2.3. სასჯელის ცნება და სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემის კვლევა-ანალიზი პირობითი მსჯავრის გამოყენებისას .....	28
2.3.1. დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას.....	35
2.3.2. დანაშაულის პრევენციის მიზნის მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას.....	40
2.3.3. სამართლიანობის აღდგენის მიზნის მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას.....	44
§ 2.4. პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთისას .....	49

2.4.1. პირობითი მსჯავრის არსი და განვითარების ისტორია .....	49
2.4.2. პირობითი მსჯავრის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში.....	54
<b>თავი III. კვლევის შედეგები.....</b>	<b>60</b>
დასკვნა.....	63
გამოყენებული ლიტერატურა .....	66

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს და მის მნიშვნელობას სასჯელის მიზნების მიღწევასთან მიმართებაში, ხოლო ძირითადი მიზანია პირობით მსჯავრთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხების სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ასპექტში წარმოჩენა. მსჯავრდებულის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის პირობითად ჩათვლის საკითხი განხილულია მისი მიზნების მიღწევის კუთხით, კერძოდ, გამოკვეთილია პრობლემა იმის შესახებ, რამდენად მიიღწევა სამართლიანობის აღდგენის მიზანი, შესაძლებელია თუ არა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის თავიდან აცილება და გამოსწორდება თუ არა დამნაშავე.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, პარაგრაფებისა და დასკვნისგან. ძირითად ნაწილში დასმულია პრობლემა, ჩატარებულია კვლევა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, გამოკვეთილია კვლევის ჩატარების შემდგომ მიღწეული შედეგები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნა. ნაშრომს ასევე ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველ თავში მიმოხილულია ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულია ნაშრომის ირგვლივ ჩატარებული კვლევისთვის სრულყოფისათვის. მეორე თავი ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს და დაყოფილია პარაგრაფებად, სადაც საუბარია პირობითი მსჯავრის ინსტიტუტზე სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური კუთხით, დასმულია სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობის

პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. ნაშრომის ბოლო, მესამე თავი კვლევის ჩატარებისას მიღწეულ შედეგებს მოიცავს, ხოლო დასკვნა კი მთლიანი ნაშრომის შემაჯამებელი ნაწილია.

## Annotation

Master's work is about an institution of suspended sentence and its meaning in point of the goals of punishments. But the main goal is to demonstrate the problematic items of the suspended sentence in prosecutive and criminal aspects. The conviction verdict for the convicted person, which is passed by the judgement, in order to be considering as suspended sentence is discussed in item goals of punishments, more exactly, it's problem about how the aim is reached about the restoring of justness. Is it possibility or not to be committed the new crime? Is it opportunity to prevent and avoid this danger or will be changed the criminal person or not?

The topic includes introduction, three chapter, paragraph and conclusion. The main part of topic is about problem, research of conducted usind different methods. There is outlined conclusion and achieved results after research. Master's work is attached of list os used literature.

The chapter one is about using literature, which is used for perfection carried out research of around it. The chapter two is main part of topic and it's are divided into paragraphs , where is a information about institute of suspended sentence in terms of criminology and criminal law. The chapter two also is about the purpose of punishment with suspended sentence. The last chapter of topic is about result of research, and the conclusion includes summarize of topic.

## შესავალი

პირობითი მსჯავრი არის სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიების ერთ-ერთი სახე. პირობითი მსჯავრი სასჯელის განუყოფელი ნაწილია და მის გარეშე არ არსებობს. ძალიან საინტერესოა მსჯავრდებულისთვის სასჯელის სახით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლის დროს სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობის საკითხი, რაც ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია პირობით მსჯავრთან დაკავშირებული სამეცნიერო და პრაქტიკული საკითხები.

**თემის აქტუალობა:** თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლა სამოსამართლო საქმიანობის ყოველდღიურ, განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თემის აქტუალობა განპირობებულია ასევე იმით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებამ ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებულად მოაწესრიგა პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი.

**დასახული მიზნები:** იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით, დანაშაული და სასჯელი ცალკე-ცალკე არ არსებობს, აქედან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომში, პირველ რიგში, საუბარია დანაშაულისა და დამნაშავეობის

ცნებაზე, დანაშაული და დამნაშავეობა განხილულია სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი კუთხით, ხოლო შემდგომ განხილულია სასჯელის ცნება და მისი მიზნების მიღწევის პრობლემის წარმოჩენა პირობით მსჯავრთან მიმართებაში, რაც ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს. თემის მიზანია, აგრეთვე, წარმოაჩინოს ის ხარვეზები და პრობლემები, რომლებიც უკავშირდება პირობით მსჯავრს. აღნიშნულთან დაკავშირებით შემოთავაზებული იქნება პრობლემის გადაჭრის გზები და გარკვეული რეკომენდაციები.

**ნაშრომის ამოცანა:** სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა, პირობითი მსჯავრის საკითხით დაინტერესებულ მკითხველს დაანახოს ის კონკრეტული პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას სასამართლო პრაქტიკა.

**კვლევის მეთოდები:** დასმული პრობლემის შესწავლის და წარმოჩენის მიზნით ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური, აღწერილობითი, ანალიტიკური და სინთეზური, ასევე ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. პრობლემის უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენის მიზნით ასევე გამოყენებულია რამდენიმე სასამართლო გადანწყვეტილება, რაც საბოლოოდ გარკვეული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთების საშუალებას იძლევა და პირობითი მსჯავრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ პრობლემას მეტი სიზუსტით წარმოაჩენს.

შესავალი და დასკვნითი ნაწილების გარდა, ნაშრომი მოიცავს გამოყენებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, რაც ითვალისწინებს პირობით მსჯავრთან დაკავშირებული პრობლემეტიკის თეორიულ და პრაქტიკულ კონტექსტს. პრობლემასთან დაკავშირებით გამოყენებულია სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურა, ასევე ნორმატიული მასალა და სასამართლო გადანწყვეტილებები. თემის ძირითადი ნაწილი მოიცავს პრობლემის კვლევას, მის

სიღრმისეულ განხილვა-გაანალიზებას და მიღწეული შედეგების ანალიზს. თემის ძირითადი ნაწილი დაყოფილია თავებად და პარაგრაფებად.

პირველ თავში, როგორც აღვნიშნე, საუბარია ნაშრომის ირგვლივ გამოყენებული ლიტერატურის მომთხილვაზე, სადაც სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრებები პირობით მსჯავრთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. ეს თავი ასევე მოიცავს თითოეული სახელმძღვანელოს თუ სტატიის, ასევე ნორმატიული მასალის და სასამართლო გადაწყვეტილებების რელევანტურობის საკითხს ნაშრომში დასმულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით.

მეორე თავი დანაშაულის და დამნაშავეობის ცნებას ეხება და შედგება სამი პარაგრაფისგან. დანაშაული და დამნაშავეობა გაანალიზებულია სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი გავებით, სადაც წარმოდგენილია ლიტერატურაში მოძიებული სხვადასხვა ავტორის მოსაზრება დანაშაულობის და დამნაშავეობის სხვადასხვა ასპექტში წარმოჩენის მიზნით.

მესამე თავი მეტად საინტერესოა, ვინაიდან უკავშირდება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიურ ანალიზს. ამ თავში სიღრმისეულად არის განხილული მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებები დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესახებ. ზოგიერთი მათგანი გაკრიტიკებულია და საუბარია დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზების შესახებ დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, რომლის საილუსტრაციოდ მოყვანილია ნორმატიული მასალა და ასევე სასამართლო გადაწყვეტილებები.

მეოთხე თავი ნაშრომის ძირითად მიზანს ასახავს. განმარტებულია სასჯელის ცნება და მისი მიზნების მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს. აღნიშნული თავი სამი პარაგრაფისგან შედგება, სადაც ცალკე-ცალკეა მომთხილული სასჯელის მიზნების მიღწევის თითოეული მიზანი პირობით მსჯავრთან მიმართებით.

მეხუთე თავი ეძღვნება თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლის საკითხს. ამ თავში გამოყოფილია ორი პარაგრაფი. პირველ პარაგრაფში პირობითი მსჯავრის არსი და განვითარების ისტორიაა გადმოცემული, ხოლო მეორე თავში საუბარია პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე სასამართლო პრაქტიკაში, სადაც პირობითი მსჯავრი წარმოჩენილია მისი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობით და დატვირთვით.

ნაშრომის ბოლო, მეექვსე თავში შეჯამებულია თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევის შედეგები და საბოლოოდ გაკეთებულია დასკვნა ნაშრომის ზოგადი შეფასების და მასში დასახული მიზნების მიღწევის კუთხით.

## თავი I

### ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

პირობითი მსჯავრი და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები საინტერესო და აქტუალურია როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე კრიმინოლოგიური თვალსაზრისით. პირობით მსჯავრთან დაკავშირებით განხორციელებული კვლევისას, პირველ რიგში, განვიხილეთ დანაშაულის ცნება, ხოლო შემდეგ - დანაშაული, როგორც სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სოციალური მოვლენა. დანაშაულის ცნების განხილვისას გავეცანი როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო და დამხმარე იურიდიულ ლიტერატურას. დანაშაულის ცნება ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია განსაზღვრული, მაგრამ საინტერესოა სხვადასხვა ავტორის მიერ ამ ცნების ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებების გაცნობაც, რაშიც დამეხმარა თ. დონჯაშვილის „საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი“, თბილისი, 2007 წელი, ზ. წულაიას „კრიმინოლოგია“, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2007 წელი, მ. ტურავას სახელმძღვანელო „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა“, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010 წელი და, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქმედი სისხლის

სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი, სადაც დანაშაულის ცნება საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული.

დანაშაულის ცნებაზე საუბრის შემდგომ ნაშრომში განვიხილეთ დანაშაული და დამნაშავეობა სისხლისსამართლებრივ ასპექტში, რა დროსაც დამნაშავეობის ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაციას გავეცანი. დამნაშავეობის ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით საინტერესო იყო ზ. წულაიასა და მ. ტურავას სახელმძღვანელოები, ასევე სამეცნიერო ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N3, რომელიც გამოიცა 2008 წელს. დანაშაულის და დამნაშავეობის სისხლისსამართლებრივი კუთხით განხილვის შემდგომ აღნიშნული ცნება განვიხილეთ კრიმინოლოგიურად, რაშიც დამეხმარა გ. ლლონტის ავტორობით 2008 წელს გამოცემული წიგნი - „კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში“. აღნიშნულის შემდგომ დამნაშავეობის შესახებ სოციალურ-სამართლებრივ ჭრილში გამოთქმულ მოსაზრებებს გავეცანი, რომელიც გამოთქმული იყო მ. შალიკაშვილის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში „კრიმინოლოგია“, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011 წელი, ასევე ზ. წულაიას „კრიმინოლოგიაში“, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2007 წელი, დ. წულაიას სტატიაში, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, N3 და გ. ნაჭყებიას წიგნში „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“, თბილისი, 2002 წელი. სოციალურ-სამართლებრივად დამნაშავეობის განხილვასთან დაკავშირებით ასევე გავეცანი უცხოურ (რუსულ) იურიდიულ ლიტერატურას.

დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლისას სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემაზე საუბრის დაწყებამდე, რაც ნაშრომის შექმნის ძირითადი მიზანია, დანაშაულის ჩადენის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრე. ამ მხრივ საინტერესო იყო მ. შალიკაშვილისა და დ. ჩიხლაძის „პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზის“ (თბილისი/ბერლინი, 2013 წელი) გაცნობა-განალიზება, ასევე ც. გახოკიძისა და მ. გაბუნიას თანაავტორობით 2017 წელს

გამოცემული წიგნი „კრიმინოლოგია“. მითითებულ ლიტერატურაში კრიმინოლოგიური კუთხით იყო გაანალიზებული დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები. იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა გარკვეული მიზეზითაა გამოწვეული, ამ საკითხის შესწავლისას დიდი დახმარება გამინია ზემოთ მითითებულმა ლიტერატურამ, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი სხვადასხვა გარემო ფაქტორი. ლიტერატურის გარდა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ თემის ირგვლივ ჩატარებული კვლევისას გამოვიყენე საკანონმდებლო აქტებიც, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. გარდა ნორმატიული მასალისა, დანაშაულის გამომწვევი ძირითადი მიზეზების შესახებ დღეს არსებული მდგომარეობის აღწერის მიზნით მოვიყვანე რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილებაც.

დანაშაულის ცნების და დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების განხილვის შემდგომ გავეცანი სასჯელის ცნებას, ვინაიდან სასჯელი, იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიზეზით, არის დანაშაულის შედეგი. სასჯელის ცნება და მისი მიზნების მიღწევის პრობლემა ნაშრომის საკვანძო საკითხია, სწორედ ამიტომ აღნიშნული თავი წარმოადგენს თემის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. მიმოვიხილე სასჯელის თითოეული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა პირობითი მსჯავრის შეფარდების დროს. აღნიშნული საკითხის კვლევა-ანალიზის პროცესში დამეხმარა კვლავ ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები, ასევე მ. ლეკვეიშვილის სტატია ჟურნალში „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, სახელწოდებით - „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ი. დვალისის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები“, თბილისი, 2013 წელი, ი. ვარძელაშვილის „სასჯელის მიზნები“, თბილისი, 2016 წელი, მ. ლეკვეიშვილის „სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი, გ. ნაჭყებიას

სტატია „მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის“, ჟურნალში „სამართალი“, N36-4, 8. ნანობაშვილის სტატია „სასჯელის რაობა ფილოსოფიური თვალსაზრისით“, ჟურნალში „სამართალი“, მ. ქათამაძის სტატია „სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი“, ჟურნალში „სამართალი“, N10-11 და ასევე ნორმატიული მასალა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, პატიმრობის კოდექსი, საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ და სიღნაღის რაიონული სასამართლოს განაჩენები (საქმე N1/243-17 და საქმე N1/118-17).

ნაშრომის მეხუთე თავში საუბარია უშუალოდ პირობითი მსჯავრის არსზე და მისი განვითარების ისტორიაზე, განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები პირობითი მსჯავრთან მიმართებაში და შედარებულია ერთმანეთს, სხვადასხვა დროს მოქმედი კანონის რედაქცია როგორ არეგულირებდა ამ ინსტიტუტის გამოყენების საკითხს პრაქტიკულ საქმიანობაში. საინტერესო იყო ი. ხერხეულიძის სტატიის გაცნობა მ. ლეკვეიშვილის საიუბილეო სტატიათა კრებულიდან, სათაურით - „პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომების შედარებითი ანალიზი)“. ნაშრომის ამ თავში ცალკე პარაგრაფად არ ის გამოყოფილი პირობითი მსჯავრის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში, სადაც გამოკვეთილია მისი აქტუალურობის საკითხი, იმის გათვალისწინებით, რომ პირობითი მსჯავრის შეფარდება ყოველდღიური სამოსამართლო/საპროკურორო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. საკითხის აქტუალურობის წარმოსაჩენად ნაშრომში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებია განხილული, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გ. არსოშვილის, გ. მიქანაძის და მ. შალიკაშვილის წიგნში „პრობაციის სამართალი“, თბილისი, 2015 წელი.

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის შესახებ სისხლის სამართლის კანონში ბოლო დროს განხორციელებულმა ცვლილებებმა ახლებურად ჩამოაყალიბა მისი არსი, რამაც ამ

საკითხის აქტუალობა განაპირობა. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით ლიტერატურა საკმარისი რაოდენობითა აღმოჩნდა ხელმისაწვდომი, რაც ნაშრომში დასმული პრობლემის კვლევა-ანალიზისთვის დამხმარე საუკეთესო საშუალებაა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ნაშრომში გამოყენებულია უცხოური ლიტერატურა, საკანონმდებლო აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები და მცირედი პირადი გამოცდილება.

## **თავი II**

### **პრობლემის კვლევა/ანალიზი**

#### **§ 2.1. დანაშაული და დამნაშავეობა. დანაშაულის ცნება**

ცნობილმა ფრანგმა სოციოლოგმა, ემილ დიურკემმა პირველმა განაცხადა, რომ საზოგადოება დანაშაულის გარეშე არ არსებობს და დანაშაული ნებისმიერი საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი.<sup>1</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაციაა ჩამოყალიბებული. დანაშაულის ცნება საკანონმდებლო დონეზე კი უფრო კონკრეტულად არის გადმოცემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც აღწერილია,

---

<sup>1</sup> გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 30

რომელი ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და რა სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მის ჩამდენ პირს.

დანაშაული ადამიანური ქმედებაა. მას სჩადიან შერაცხადი ადამიანები, რომლებმაც მიაღწიეს სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ასაკს. დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ადამიანის ნებელობითი მოქმედება არის ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული ზემოქმედება გარესამყაროზე, რომელიც გარკვეულ მიზანს ისახავს და განსაზღვრული მოტივი უდევს საფუძვლად.<sup>2</sup>

საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა, 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსისგან განსხვავებით, ახლებურად ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის შნაარსი.<sup>3</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში შემდეგნაირად არის განმარტებული დანაშაულის ცნება: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“.<sup>4</sup> მაშასადამე, მოცემული დეფინიციის თანახმად, ქმედების დანაშაულად მიჩნევისთვის აუცილებელია, იგი იყოს მართლსაწინააღმდეგო (ენინააღმდეგებოდეს სამართლის ნორმებს, არ შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს) და ბრალეული (სახეზე იყოს კონკრეტული პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში და არ იკვეთებოდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება).

<sup>2</sup> თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 99

<sup>3</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 55

<sup>4</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის კონკრეტული დანაშაულის ჩემდენი პირის ვალდებულება, სისხლის სამართლის კანონით დადგენილ ფარგლებში, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დაისაჯოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის.<sup>5</sup>

დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.<sup>6</sup> მაშასადამე, დანაშაულის აუცილებელი კომპონენტია პირის მიერ ისეთი ქმედების (უმოქმედობის) განხორციელება, რომელიც ზიანს აყენებს ან ამგვარი ზიანის საფრთხეს უქმნის სამართლით დაცულ ამა თუ იმ სიკეთეს.<sup>7</sup>

დანაშაული იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. იგი უნდა მოიცავდეს იმ ნიშნებს, რომელიც სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმებშია გადმოცემული. იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედება არ შეიცავს კანონში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, ის არ წარმოადგენს დანაშაულს. დანაშაულის ცნების სხვადასხვა განმარტებაა მოცემული ლიტერატურაში, თუმცა იგი საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული, რაც ამ ცნების კონკრეტულად გაგების შესაძლებლობას იძლევა.

---

<sup>5</sup> თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 36

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლი, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით

<sup>7</sup> თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 115

### 2.1.1. დანაშაულის და დამნაშავეობის სისხლისსამართლებრივი ანალიზი

დანაშაულისა და დამნაშავეობის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, „დანაშაულობა სისხლისსამართლებრივი მოვლენაა, ვინაიდან მასში შემავალ დანაშაულთა წრეს განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ხოლო დანაშაულობის სამართლებრივი ელემენტი განასხვავებს მას ისეთი სოციალური მოვლენისაგან, როგორცაა ამორალური გამოვლინება. დანაშაულობის მართლწინააღმდეგობის ხარისხით იგი განსხვავდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, დისციპლინარული და სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევებისგან.“<sup>8</sup> აღნიშნულ განმარტებაში წარმოჩენილია დანაშაულობა, როგორც სისხლისსამართლებრივი მოვლენა, ვინაიდან ქმედება, რომელიც ჩადენილი აქვს პირს, გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში, მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს დანაშაული, ესე იგი კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაული, როგორც ლიტერატურაშია განმარტებული, ასევე იმით განსხვავდება სხვა კანონდარღვევებისგან, რომ იგი უფრო მეტი სიმძიმით ხასიათდება და მეტი ზიანის მომტანია საზოგადოებისთვის.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში დანაშაულობა განიმარტებოდა, როგორც ისტორიულად ცვალებადი, სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. დანაშაულობა მოიცავს სხვადასხვა დანაშაულთა ერთობლიობას, რომელიც ჩადენილია განსაზღვრული დროის მონაკვეთში და განსაზღვრულ ტერიტორიაზე.<sup>9</sup> მაშასადამე, ისტორიულად დანაშაული ნებისმიერი საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი და დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახით გამოვლინდებოდა. დანაშაულობა კი გულისხმობს ზოგადად, სხვადასხვა სახის დანაშაულთა არსებობას.

<sup>8</sup> ზ. წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003, გვ. 45

<sup>9</sup> მ. გაბუნია, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №3, 2008, გვ. 106

დანაშაულის შესახებ მოძღვრების შესწავლის საგანია ქმედების დასჯადობის სამართლებრივ საფუძველი, იმ ელემენტების და ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც ყველა დანაშაულისთვის საერთოა, რის გამოც ისინი წარმოადგენს დანაშაულის სისტემის აგებულების ნაწილს.<sup>10</sup>

გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკიდან გამომდინარე, მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ეყრდნობა დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემას: 1) ქმედების შემადგენლობა (პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან); 2) მართლწინააღმდეგობა (პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობა სამართლის ნორმებისადმი) და ბრალი (მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის).<sup>11</sup> ქმედება დანაშაულის ცნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რადგან დანაშაულის ცნება ასახავს ადამიანის ქმედებას, როგორც რეალურ, ცხოვრებისეულ პროცესს. ადამიანი სახელმწიფოს მიერ ისჯება ქმედებისთვის, რომელიც მან ჩაიდინა და ამიტომაც ქმედება არის არა მარტო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობა, არამედ ამ პასუხისმგებლობის მოცულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კონსტიტუციური ნიშანიც.<sup>12</sup>

როგორც აღინიშნა, დანაშაული ადამიანის მიერ განხორციელებული ნებელობითი აქტია. სწორედ ნებელობითი ქცევის უნარის წყალობით შეუძლია ადამიანს იმოქმედოს სხვაგვარად, ისე, რომ თავისი ქცევა დაუქვემდებაროს სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე, ვერ ჩაითვლება ნებელობით აქტად და, მაშასადამე, დანაშაულად, ადამიანის სხეულის რეფლექტორული და ინსტინქტური მოძრაობა.

<sup>10</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომთხრობა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 56

<sup>11</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მომთხრობა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010, გვ. 56

<sup>12</sup> თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 100

ნებელობითი მოძრაობა ასევე არ არსებობს დაუძლეველი ძალის დროს და ამ პირობებში ადამიანმა არ შეიძლება, პასუხი აგოს დანაშაულისთვის.<sup>13</sup>

როგორც აღინიშნა, დანაშაული არის ქმედება, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის წესით. სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის სანქცია ყოველი დანაშაულის ხასიათის შესაბამისად აწესებს მის დასჯადობას. ადამიანის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო აქტი შესაბამისობაშია სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში აღწერილ ქმედების შემადგენლობის ნიშნებთან და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ნორმას.<sup>14</sup>

## **§2.1.2. დანაშაული და დამნაშავეობა კრიმინოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი გაგებით**

კრიმინოლოგია (ლათ. „Crimen” - დანაშაული და ბერძნ. „Logos” - სწავლება) არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას. ტერმინი „კრიმინოლოგია” 1879 წელს შემოიტანა იტელიელმა მეცნიერმა, ანთროპოლოგმა ტოპინარდომ. 1885 წელს გამოჩენილმა, ასევე იტელიელმა იურისტმა, მეცნიერმა რაფაელო გაროფალომ გამოსცა პირველი მონოგრაფია სახელწოდებით „კრიმინოლოგია”. აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლება დანაშაულობისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ გაცილებით უფრო ადრე იღებს სათავეს, რისი დასტურიცაა ჩეზარე ბეკარიას მონოგრაფია „დანაშაულობისა და სასჯელების შესახებ”, სადაც სასჯელთა სისხლისსამართლებრივ სწავლებასთან ერთად წარმოჩენილია

<sup>13</sup> თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 101

<sup>14</sup> გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 220

შეხედულებანი დანაშაულობის შესახებ და განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა დანაშაულობის თავიდან აცილება და სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები.<sup>15</sup> კრიმინოლოგიის მეცნიერების დარგს ყველა განვითარებულ სახელმწიფოში საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარება სახელმწიფოსა და საზოგადოებას ისეთი ზოგადსაკაცობრიო საკითხების გაანალიზებასა და მონესრიგებაში ეხმარება, როგორცაა დამნაშავეობა და მასთან ბრძოლა.<sup>16</sup>

როგორც ცნობილია, დანაშაულობა კრიმინოლოგიის მეცნიერების საგნის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ხოლო დანაშაულობის თავიდან აცილება - აღნიშნული მეცნიერების ძირითადი მიზანი.<sup>17</sup> კრიმინოლოგიაში დანაშაულობის უამრავი განსაზღვრება არსებობს. მათში ასახულია სხვადასხვა ავტორის ფილოსოფიური შეხედულებანი და ასევე სამართლებრივი და რელიგიური წარმოდგენების გავლენა.<sup>18</sup> უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მეცნიერებაში მიმდინარეობდა სისტემატური კვლევები დანაშაულობის ფენომენის შესახებ. სულ ახლო წარსულში კი, კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებასთან ერთად, ჩამოყალიბდა და განისაზღვრა დანაშაულობა, როგორც „უარყოფითი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა, რომელიც არსებობს ადამიანთა საზოგადოებაში, გააჩნია თავისი კანონზომიერებანი, თვისობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, მოაქვს საზოგადოებისა და ადამიანებისათვის ნეგატიური შედეგები და მოითხოვს სპეციფიკურ კონტროლს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან“.<sup>19</sup> თანამედროვე კრიმინოლოგიაში დანაშაულობის გაგება-შემეცნების კუთხით სამი ძირითადი მიდგომაა გამოკვეთილი: პირველი - ლეგალისტური, ანუ, დანაშაულობა არის ის, რაც კანონითაა აკრძალული. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება არა მართო

<sup>15</sup> მ. გაბუნია, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №3, 2008, გვ. 105

<sup>16</sup> დ. წულაია, კრიმინოლოგიის მნიშვნელობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, გვ. 123

<sup>17</sup> იქვე, გვ. 105

<sup>18</sup> გ. ლლონტი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 41

<sup>19</sup> Я.И. Гишинский. “Девиантность, Преступность, Социальный контроль”. СПТ. 2004. С. 155-156. ასევე მ.

წულაია, „კრიმინოლოგია“, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003, გვ. 54

სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება, არამედ დისციპლინარული და ადმინისტრაციული გადაცდომებიც. დანაშაულობის გაგების მეორე მიდგომა კრიმინოლოგიაში არის სოციალურრეაქციული, რაც გულისხმობს ყველაფერს, რაც იკიცხება საზოგადოების მხრიდან და რისთვისაც გათვალისწინებულია შესაბამისი სანქციები, ხოლო მესამე მიდგომა არის კრიტიკული - რომელიც არ იზიარებს ზემოთ აღნიშნულ ორ მიდგომას.<sup>20</sup>

მე-20 საუკუნიდან მოყოლებული, კრიმინოლოგთა ერთი ნაწილი დანაშაულობას განმარტავს, როგორც სოციალურად საშიშ ელემენტს. მანჰაიმერის აზრით, თუ ადამიანის ქცევა ანტისოციალური, ანუ ანტისაზოგადოებრივი არ არის, მაშინ იგი არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. ქმედების ანტისაზოგადოებრივი ხასიათი აქცევს მას დანაშაულად, მაგრამ ყოველი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, ძნელი დასადგენია, არის თუ არა ეს ქმედება სოციალურად საშიში.<sup>21</sup>

დამნაშავეობა კრებითი ცნებაა. დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის ერთიანობის გათვალისწინებით, დამნაშავეობს შეიძლება შეფასდეს, როგორც დანაშაულებების, ასევე დამნაშავეთა ერთობლიობად. დანაშაულებების და დამნაშავეების ინდივიდუალური თვისებების ერთობლიობისთვის დამახასიათებელი საერთო და განზოგადებული ნიშნების შემუშავებით დამნაშავეობა მასობრივ მოვლენად ყალიბდება.<sup>22</sup>

კრიმინოლოგიაში დამნაშავეობა განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენა და სწორედ ამ მხრივ ხდება მისი შესწავლა. ამასთან, არ ხდება სამართლებრივი მახასიათებლების უგულებელყოფა. სოციალური და სამართლებრივი ასპექტები არის დამნაშავეობის ორი მხარე, რომელიც მის განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. დამნაშავეობა სოციალურია, ვინაიდან იგი იმ მოქმედებებისგან შედგება, რომელიც ადამიანების მიერ ასევე ადამიანების, საზოგადოების, სახელმწიფოს

<sup>20</sup> Труды СПТ Юридического института Генеральной прокуратуры РФ. 2001. №3. С. 74-75.

<sup>21</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 249

<sup>22</sup> ზ. წულაია, კრიმინოლოგია, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 240

წინააღმდეგ არის ჩადენილი. დამნაშავეობის სოციალური არსი მის ანტისაზოგადოებრივ ხასიათში ვლინდება და სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთა ინტერესებს ეწინააღმდეგება. დამნაშავეობა საზოგადოების სოციალური ცხოვრების პირობების ხასიათზეა დამოკიდებული და აქ ასევე წამყვან როლს ასრულებს სამართლებრივი რეჟიმის პირობებიც. ადამიანის მიერ საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილ მოქმედებებს სამართლებრივი მახასიათებლები აქვს, რომელიც აღწერილია კანონში. ეს მოქმედებები სამართლის ნორმების დარღვევაა და სწორედ აქედან მომდინარეობს დამნაშავეობის სამართლებრივი არსი.<sup>23</sup>

„დანაშაული სოციალური მოვლენაა, რომელსაც სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს. ამიტომ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთ დროს დანაშაულს ვებრძოლოთ სასჯელის მეშვეობით, მაშინ, როდესაც დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისთვის გადამწყვეტია სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური და სხვა ამგვარი ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, ამ ღონისძიებათა ეფექტურობისთვის უნდა იზრუნოს და მხოლოდ ამის შემდეგ დააწესოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დამხმარე საშუალება“.<sup>24</sup> როგორც ვხედავთ, გურამ ნაჭყებია დანაშაულს განმარტავს, როგორც სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას და მის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გვთავაზობს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა ღონისძიებათა გატარებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ღონისძიებები არ აღმოჩნდება ეფექტური დანაშაულობის შემცირების კუთხით, სახელმწიფომ ამის შემდეგ უნდა გამოიყენოს სასჯელი, როგორც დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დამხმარე საშუალება.

<sup>23</sup> ზ. წულაია, კრიმინოლოგია, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 245

<sup>24</sup> გ. ნაჭყებია, „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“, თბილისი, 2002, გვ. 3

დ. ჟ. მასიონისი დამნაშავეობის სოციალურ-სამართლებრივ მოვლენასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „დევიაცია კულტურული ნორმების დარღვევის გაცნობიერებაა, მისი გავება საკმაოდ ვრცელია. ერთ-ერთი სახესხვაობა დევიაციისა არის დანაშაულობა - დარღვევა საზოგადოებაში ოფიციალურად მიღებული სისხლის სამართლის კანონმდებლობისა”.<sup>25</sup> მოცემულ შემთხვევაში ავტორი დამნაშავეობას უფრო ვიწროდ განიხილავს და მას მიიჩნევს მხოლოდ როგორც სისხლის სამართლის ნორმების დარღვევას. შედარებით ფართო განმარტებას გვთავაზობს ამერიკელი სოციოლოგი ა. გიდენსი:<sup>26</sup> „დანაშაულობა ნებისმიერი სახის მოქმედებაა, რომელიც არღვევს კანონს”.<sup>27</sup> აღნიშნულ შემთხვევაში გიდენსი ნაწილობრივ უპირისპირდება მასიონისს და განმარტავს, რომ დანაშაულობა არა მარტო სისხლისსამართლებრივ ნორმებს არღვევს, არამედ ყველა იმ კანონს, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ. ამდენად, სოციოლოგები დანაშაულობად მიიჩნევენ მის შემხებლობას კანონთან.<sup>28</sup>

## § 2.2. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ანალიზი

---

<sup>25</sup> Д. Ж. Массионис. „Социология”. СПТ 2004. С. 259.

<sup>26</sup> მ. გაბუნია, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება”, №3, 2008, გვ. 105

<sup>27</sup> А. Гидденс. „Социология”. М 1999. С. 259.

<sup>28</sup> მ. გაბუნია, სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ჟურნალი „მართლმსაჯულება”, №3, 2008, გვ. 106

დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესახებ მოძღვრება ცნობილია ვან ჰამელის „დანაშაულის ეტიოლოგიით“ და ლისტის მიერ შემოთავაზებული „კრიმინოლოგიით“. ამდენად, კრიმინოლოგიური ეტიოლოგია არის მოძღვრება დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ.<sup>29</sup> დაკვირვების შედეგად ცხადი ხდება, რომ დანაშაულის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია. იტალიელი იურისტის, რომანოზის ნაშრომებში დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი: 1) საარსებო საშუალებების ნაკლებობა; 2) აღზრდის ნაკლებობა; 3) წინდახედულობის ნაკლებობა; 4) მართლმსაჯულების ხარვეზი. როგორც ჩანს, დანაშაულობის გამომწვევი აღნიშნული ჯგუფებიდან პირველი ჯგუფი არის ეკონომიკური ხასიათის, მეორე მორალური, ხოლო მესამე და მეოთხე - პოლიტიკური.<sup>30</sup>

მეცნიერ-კრიმინოლოგებში დღემდე მიღებულია ენრიკო ფერის მიერ დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების სამწვერიანი დაყოფა: ანთროპოლოგიური, ფიზიკური და სოციალური. ანთროპოლოგიური მიზეზები დამნაშავის პიროვნებიდან მომდინარეობს. მაგალითად, ასაკი, სქესი, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, განათლება და აღზრდა; ფიზიკურ ფაქტორებად ენრიკოს ფერის მიაჩნია რასა, კლიმატი, ნიადაგის მოსავლიანობის ხარისხი, წელიწადის დროები, ხოლო სოციალური ფაქტორებია: მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება, ემიგრაცია, საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციები, რელიგია, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, კანონმდებლობა და სხვ.<sup>31</sup>

ანთროპოლოგია, დიდი კრიმინოლოგის, ტოპინარდოს აზით, არის მეცნიერება ადამიანის და ხალხის შესახებ და მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანს ეხება. დანაშაულობის ანთროპოლოგიურ მიზეზებში ისინი უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც ადამიანის გონებაში დევს<sup>32</sup>. ანთროპოლოგიურ მიზეზებში იგულისხმება ადამიანის

<sup>29</sup> ც. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 14

<sup>30</sup> ც. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 15

<sup>31</sup> ც. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 15

<sup>32</sup> ც. გახოკიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 15

თვისებები, რაც მას დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს, მაშასადამე, ნიშნავს ადამიანის შინაგან მიდრეკილებას დანაშაულის ჩადენისკენ და ეს არ შეიძლება გამოწვეული იყოს, მაგალითად, ეკონომიკური ან სოციალური ფაქტორებით.

მეორე ჯგუფს ენრიკო ფერიმ მიაკუთვნა დანაშაულობის ფიზიკური მიზეზები. მისი აზრით, დანაშაულობაზე მოქმედებს კლიმატი და ფიზიკური პირობები. ამ მხრივ საინტერესოა ლისტის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ ზამთრის პერიოდში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზრდა განპირობებულია ადამიანების სიღარიბით, რომლებსაც შესაძლებლობა არ აქვთ, სიცვიდან დაიცვან თავი.

ვფიქრობ, ლისტის მოსაზრება დანაშაულის ჩადენის გამომწვევ მიზეზად ფიზიკური ფაქტორის შესახებ საინტერესოა, თუმცა, დანაშაულის ჩადენას ამ შემთხვევაში იწვევს არა წელიწადის დროები და კლიმატური პირობები, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. წელიწადის დროების მიზეზით დანაშაულის ჩადენა ნამდვილად შესაძლებელია, თუმცა მას მაინც ეკონომიკური ფაქტორი უდევს საფუძვლად, მაგალითად, ზამთრის პერიოდში შეინიშნება ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის მატება, როგორცაა უკანონო ტყითსარგებლობა, ტყითსარგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით, რაც იწვევს როგორც ადმინისტრაციული სახდელის დადებას (დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის იარაღისა და ხე-ტყის კონფიკაციით),<sup>33</sup> ასევე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად. სისხლისსამართლებრივად დასჯადია ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლით. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის

---

<sup>33</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლი, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით

მიერ ხდება და იწვევს მნიშვნელოვან ზიანს, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან/და გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.<sup>34</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის განაჩენით (საქმე N1/45-19) მ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 304<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, მას გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) თვის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 01 (ერთი) წელი.<sup>35</sup> სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვალა უნდა პასუხობდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებს, რაც მოცემულ შემთხვევაში, ვფიქრობ, ნაწილობრივ იქნება მიღწეული, ვინაიდან საზოგადოებას არ ექნება განცდა, რომ დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯა მოხდა და ამ გზით სამართლიანობა აღდგა. თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვალა ასევე ვერ იქნება დამნაშავის გამოსწორების გარანტი, ვინაიდან სოციალური გარემო, სადაც დამნაშავე ცხოვრობს, არ იძლევა დამნაშავის რესოციალიზაციის შესაძლებლობას. პირობითი მსჯავრით დანიშნული გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდგომ, ასევე ამ ვადის გასვლამდეც არსებობს იგივე დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, ვინაიდან სასჯელის მოხდის შემდგომ დამნაშავე, როგორც წესი, იმავე ეკონომიკურ პირობებში აგრძელებს ცხოვრებას, როგორშიც დანაშაულის ჩადენამდე ცხოვრობდა, რაც მას „აიძულებს“ და „სხვა გამოსავალს არ უტოვებს“, კვლავ ჩაიდინოს ასეთი ტიპის დანაშაული. სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემაზე პირობით მსჯავრთან მიმართებაში დანვრილებით შემდეგ ვისაუბრებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ ეკონომიკური პირობები იძლევა ისეთი დანაშაულის/ადმინისტრაციული

<sup>34</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის პირველი ნაწილი, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით

<sup>35</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 28.02.2019 წლის განაჩენი (საქმე N1/45-19)

სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის საფრთხეს, როგორცაა უკანონო ტყითსარგებლობა, რამეთუ კანონის დამრღვევ პირს ზამთარში გათბობის პრობლემის მოგვარება სხვაგვარად არ შეუძლია, თავისი მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. ასევე არ არსებობს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტია, ვინაიდან ადამიანებს თავიანთი საცხოვრებელი პირობები არ აძლევს საშუალებას, არ ჩაიდინონ ახალი დანაშაული. მცირედი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნო, რომ აღნიშნული კატეგორიის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და შემდგომ უკვე დანაშაულის ჩამდენი პირები, უმეტეს შემთხვევაში, არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულნი, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, თავი აარიდონ ზამთარს და სიცივეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სახდელის სახით აღნიშნული კატეგორიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას გათვალისწინებულია ჯარიმა, რომელიც საკმაოდ სოლიდურია და რომლის გადახდაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნობილი პირების მიერ, ხშირ შემთხვევაში, თითქმის, შეუძლებელია. მაგალითისთვის, საინტერესოა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ (საქმე N4/305-16),<sup>36</sup> რომლითაც ლ. ქ. ცნობილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში ლ. ქ.-ის მიერ გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 134.00 ლარი შეადგინა, რის გამოც მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ, ვფიქრობ, სამართლიანია, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევაში ბრალეული პირი იყო სოციალურად დაუცველთა ერთიან

<sup>36</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 26.09.2016 წლის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, საქმე N4/305-16

ბაზაში რეგისტრირებული, მას არ შეეძლო დაკისრებული ჯარიმისა და ზიანის თანხის გადახდა და სასამართლოს მიერ მოხდა სააღსრულებო ფურცლის გაცემა ზიანის თანხის იძულებით გადახდევინების მიზნით. ჩემი აზრით, აღნიშნულ შემთხვევაში ვერ იქნება აღკვეთილი სამართალდამრღვევის მხრიდან მსგავსი გადაცდომების ჩადენა, კვლავ მისი მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, რის შემდგომაც უკვე დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც სასჯელის სახედ და ზომად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხ წლამდე.<sup>37</sup> აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში, ხშირ შემთხვევაში, ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რა დროსაც ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრება თავისუფლების აღკვეთა, რაც პირობით ჩაეთვლება და დაუნესდება გამოსაცდელი ვადა. მოცემულ შემთხვევაში პირობით მსჯავრდებული არ ადგას გამოსწორების გზას, შესაბამისად, ვერ მიიღწევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები, რაზეც უფრო დანვრილებით შემდეგ ვისაუბრებთ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას მოსამართლე მცირე მნიშვნელოვნად ჩათვლის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირის გულწრფელი აღიარება, მის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის მცირე ოდენობა), ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და მის მიმართ იყენებს სიტყვიერ შენიშვნას. მაგალითად, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის N4/16-19 დადგენილებით მოსამართლემ სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა:<sup>38</sup> ფ. შ.-მ ჩაიდინა სამართალდარღვევა, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევაში გაიზიარა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული

---

<sup>37</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლი, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით  
<sup>38</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 12.01.2019 წლის დადგენილება სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესახებ (საქმე N4/16-19)

პირის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მისი გულწრფელი მონანიება, ასევე გარემოსთვის მიყენებული ზიანი, რომელმაც შეადგინა 18.05 (თვრამეტი ლარი და ხუთი თეთრი) ლარი და დასჯერდა სიტყვიერი შენიშვნის გამოყენებას.

რაც შეეხება სოციალურ ფაქტორს, ენრიკო ფერის აზრით, მას მიეკუთვნება დანაშაულობაზე იმ სოციალური გარემოს გავლენა, რომელშიც დამნაშავე ცხოვრობს. სოციალურ გარემოში ნაგულისხმევია როგორც პირთა წრე, სადაც ადამიანი ცხოვრობს, ასევე სოციალური ინსტიტუტები და პოლიტიკური წეს-წყობილება. სოციალურ პირობებში იგულისხმება ოჯახური მდგომარეობის გავლენა, საზოგადოებრივი აზრი, ცხოვრება სოფლად და ქალაქად და ა.შ.<sup>39</sup>

მაშასადამე, უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკურ ფაქტორებთან ერთად, ძირითადად, მაინც სიღარიბე ითვლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ხოლო შემდეგ კი დანაშაულის ჩადენის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად.

### **§ 2.3. სასჯელის ცნება და სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემის კვლევა-ანალიზი პირობითი მსჯავრის გამოყენებისას**

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური, აღწერილობითი, ანალიტიკური და სინთეზური, ასევე ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. სასჯელის მიზნების მიღწევის საკითხი პრობლემატურია, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ვერ

---

<sup>39</sup> ც. გახოვიძე, მ. გაბუნია, კრიმინოლოგია, თბილისი, 2017, გვ. 18

ხდება მისი მიღწევა სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სადამსჯელო ღონისძიების გატარებით, როგორცაა თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლა. კვლევის ანალიტიკური და სინთეზური მეთოდი რელევანტურია სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემის გამოსაკვეთად, რისთვისაც ნაშრომში განხილულია რამდენიმე სასამართლო გადანყვეტილება, ხოლო აღწერილობითი კვლევის მეთოდის დახმარებით ვისაუბრე ზოგადად დანაშაულის ჩადენის გამომწვევ მიზეზებზე და შევეცადე წარმომეჩინა იგი, როგორც რეალურად არსებული პრობლემა და გამოწვევა, რომლის წინაშეც დგანან სახელმწიფოები და მათ შორის, ჩვენი ქვეყანა. იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემა ყოველთვის აქტუალური იყო და დღესაც პრობლემად რჩება, ასევე გამოვიყენე კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

ვიდრე უშუალოდ პირობითი მსჯავრის დანიშვნით სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობის საკითხზე გადავალ, საჭიროა საკითხის განხილვა გავიწყო სასჯელის ცნებით, ვინაიდან როგორც ლიტერატურაში ცნობილია, დანაშაული და სასჯელი ცალკე-ცალკე არ არსებობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას.“<sup>40</sup> აღნიშნული მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცავს მართლწესრიგს დანაშაულებრივი ხელყოფისგან სასჯელის ან სხვა სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებით. ამ მიზნით სისხლის სამართლის კერძო ნაწილი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად და მისი ჩამდენისთვის აწესებს სასჯელს ან სხვა სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმები („ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების ადაფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის შესახებ“), ასევე შიდა კანონმდებლობა, ქვეყნის

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წ. პირველი მუხლის პირველი ნაწილი

უზენაესი კანონი - საქართველოს კონსტიტუცია და ასევე სისხლის სამართლის კოდექსი იცავს ადამიანს ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის დაკისრებისგან, რომელიც კანონში არ იყო შეტანილი ქმედების ჩადენის დროს. აღნიშნული დებულება კანონიერების პრინციპის გამოხატულებაა, რომლის შესაბამისად, მხოლოდ კანონმა უნდა განსაზღვროს, რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად და რა სახის სასჯელი შეეფარდება მის ჩამდენ პირს. გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ჰუმანიზმის პრინციპს ემყარება, რომლის ძალითაც სახელმწიფოს ეკრძალება დანაშაულის ჩამდენი პირისთვის იმაზე უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდება, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.<sup>41</sup> სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას სასჯელთან მიმართებით კონსტიტუციური რანგი აქვს: „nulla poena sine lege” (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) და „nulla poena sine culpa” (არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე,<sup>42</sup> მაშასადამე, დანაშაულის ჩამდენი თითოეული ადამიანი სასჯელს იღებს დამსახურებულად. აქედან გამომდინარე, სასჯელი დანაშაულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მის გარეშე არ არსებობს, ამიტომ სასჯელი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტია.<sup>43</sup> მოსამართლე დამნაშავეისთვის სასჯელის დანიშვნის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით („სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები”), რა დროსაც ითვალისწინებს როგორც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, ასევე დამნაშავეის პიროვნებას, მის მიერ წარსულში ჩადენილ დანაშაულებს, გამოძიებასთან თანამშრომლობას და ა.შ.<sup>44</sup>

სასჯელის ცნება საკანონმდებლო დონეზე არ არის განსაზღვრული, მის ცნებას მხოლოდ იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული მოსაზრებით, სასჯელი განმარტებულია, როგორც „სახელმწიფო

<sup>41</sup> თ. ღონჭაჭილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 360

<sup>42</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 353

<sup>43</sup> თ. ღონჭაჭილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 360

<sup>44</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 353

იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეთარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს”.<sup>45</sup> მაშასადამე, სასჯელი - ეს არის ქმედება, რომელიც ხორციელდება სასამართლის მიერ სახელმწიფოს სახელით და რომელიც განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც ყოველი კონკრეტული დანაშაულის შედეგი მისი შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მიხედვით. აღნიშნული განმარტებიდან ცხადია, რომ მხოლოდ სასამართლოა უფლებამოსილი, ცნოს ადამიანი კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში და შემდეგ მას შეუთარდოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი სასჯელი. პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სამართლიანი სასჯელის შეთარდება არის სამოსამართლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილი.

სასჯელი, როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულებითი ღონისძიებაა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. იძულებითი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სავალდებულოა შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. განაჩენის აღსრულების დროს სახელმწიფო იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზემოქმედების აუცილებელ საშუალებებს და ზომებს, რა დროსაც მსჯავრდებული ვალდებულია, მოითმინოს ის აკრძალვები და შეზღუდვები, რომელიც მას დაკისრებული აქვს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის. თავისი შინაარსით სასჯელი გამოხატულია პირისთვის უფლებების და თავისუფლებების ჩამორთმევაში, მაგრამ, იგი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისთვის მიყენებული ზიანის გამოსყიდვას.<sup>46</sup>

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი (ვიდრე ძალაში შევიდოდა 2007 წლის 03 ივლისის კანონი), ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი

<sup>45</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 353

<sup>46</sup> თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007, გვ. 362

იძულების ღონისძიებების ორკვალიან სისტემას, რაც გულისხმობდა დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებას - სასჯელის შეფარდებას, ხოლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ფსიქიკურად დაავადებული პირების მიმართ - სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. მოსაზრება სანქციათა ორკვალიანი სისტემის შესახებ დაკავშირებულია შვეიცარიელი სისხლის სამართლის პროფესორის, კარლ შტოსის სახელთან. დღეის მდგომარეობით კი ეს სისტემა საქართველოში აღარ არსებობს და აღიარებულია მხოლოდ ევროპის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების კანონმდებლობაში. ასეთ ვითარებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 03 ივლისის კანონით ცვლილება შევიდა და მთლიანად ამოღებულ იქნა მე-6 კარი, „სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების სახეები, მათი გამოყენების საფუძველი და წესი“. აღნიშნული ცვლილების თანახმად, პირის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა ფსიქიკური დაავადებით გამოწვეულ შეურაცხადობის მდგომარეობაში, უკვე აღარ გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება, ხოლო იმ პირს კი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაინიდა შეურაცხადობის მდგომარეობაში, მაგრამ განაჩენის გამოტანამდე დაავადდა ფსიქიკურად, სასამართლოს მიერ სასჯელი შეეფარდება, რომელიც გამოჯანმრთელებამდე უნდა მოიხადოს შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში.<sup>47</sup>

რაც შეეხება სასჯელის მიზნებს, სასჯელის მიზნის ცნება ერთმნიშვნელოვნად არ არის ჩამოყალიბებული და ეს საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში დავის საგანია. სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებითა და იმ ამოცანებით, რომელიც მის წინაშე დგას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. სასჯელის მიზნის ცნება შემდეგნაირად განიმარტება: „სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო

---

<sup>47</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 354

შედგევი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით”.<sup>48</sup>

ისტორიულად, უძველეს დროში, სასჯელის მიზანი იყო დანაშაულის ჩამდენი პირისთვის სამაგიეროს მიზღვა, რასაც ადასტურებს ცნობილი გამოთქმა - „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ”. აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზნის განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოთქმული პირველი თეორიები უკავშირდება სასჯელის მიზანს, როგორც მხოლოდ დამნაშავესთვის სამაგიეროს გადახდას მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. სასჯელის ეს მიზანი სამართლის განვითარების ყველა ეტაპისთვის იყო დამახასიათებელი.<sup>49</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის მიზნებია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლით სასჯელის მიზნები განისაზღვრება აბსოლუტური და პრევენციული თეორიების სინთეზით. აბსოლუტური თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ხოლო პრევენციული თეორიის მიხედვით კი - ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.<sup>50</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის მიზნების საკითხთან დაკავშირებით არაერთი მეცნიერული ნაშრომი და დოქტრინალური განმარტება არსებობს, სისხლის სამართალში სასჯელის მიზნების პრობლემა მეტად აქტუალურ საკითხად რჩება. ჯერჯერობით არ არის შემუშავებული ერთიანი თეორია სასჯელის მიზნების შესახებ, თუმცა, რეალურად შესაძლებელია სასჯელის ყველა მიზნის დაკონკრეტება, ვიდაიდან ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია და ზოგჯერ მათი გამიჯვნა რთული საკითხია. აღნიშნული

<sup>48</sup> მ. ლეკვიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი”, N4, გვ. 18

<sup>49</sup> გ. ტყემელიაძე და სხვები, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ. 479

<sup>50</sup> მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 354

პრობლემა თითქმის მოგვარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე ჩამოაყალიბა სასჯელის მიზნები. სასჯელის მიზნების დადგენა უმნიშვნელოვანესია როგორც სასამართლო სისტემის, ასევე საგამოძიებო ორგანოებისთვის კანონიერების განმტკიცების კუთხით.<sup>51</sup>

მსჯავრდებულისთვის შეფარდებული არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებისთვის, მათ შორის პირობითი მსჯავრის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვისთვის, მსჯავრდებულის ზედამხედველობისა და კონტროლისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7<sup>2</sup> მუხლში მითითებულია, რომ „სამინისტრო ხელს უწყობს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ისეთი კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებას, რომელთა მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სარეაბილიტაციო პრიგრამების მეცნიერული შესწავლა“.<sup>52</sup> აღნიშნული ჩანაწერი არის საკანონმდებლო სიახლე, რაც გულისხმობს სასჯელის მიზნების შესახებ კრიმინოლოგიური კვლევების მეცნიერულ დონეზე შესწავლა-გაანალიზებას, რომელიც იქნება ეფექტური სასჯელის მიზნების რეალურად მიღწევისთვის და დამნაშავეს ექნება შესაძლებლობა საზოგადოებაში ინტეგრაციისა, ასევე თავიდან იქნება აცილებული ახალი დანაშაული და აღდგენილი იქნება სამართლიანობა. აღნიშნული კვლევები საინტერესო და ნაყოფიერი იქნება არასაპატიმრო სასჯელების აღმასრულებელი ორგანოსთვის - პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის, რომელიც შეიმუშავებს დანაშაულის ჩამდენი ყოველი პირის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას.

<sup>51</sup> გ. ტყეშელიაძე და სხვები, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ. 479

<sup>52</sup> საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მე-7<sup>2</sup> მუხლი, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით

იმის გასარკვევად, რამდენად მიიღწევა სასჯელის მიზნები დამნაშავე პიროვნების მიმართ სასჯელის სახით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლისას, მნიშვნელოვანია ცალკ-ცალკე განვსაზღვროთ თითოეული ამ მიზნის შინაარსი.

### **2.3.1. დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის ერთ-ერთ და უმთავრეს მიზნად აღიარებულია დამნაშავის რესოციალიზაცია. ამ მიზნის მიღწევის გარეშე სასჯელის დაკისრებას აზრი ეკარგება. სასჯელის მიზნად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში ის ღონისძიებებია დაკონკრეტებული, რომელთა ცხოვრებაში გატარების შედეგად შესაძლებელი გახდება დამნაშავის რესოციალიზაცია, ანუ მისი გამოსწორება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნება.<sup>53</sup> სიტყვა „რესოციალიზაცია“ ორი ნაწილისგან შედგება: „რე“ და „სოციალიზაცია“, ამიტომაც, ამ ცნების მნიშვნელობის უკეთესად გააზრებისთვის საჭიროა მისი თითოეული ნაწილის განმარტება ცალკ-ცალკე: სიტყვა „სოციალიზაცია“ ინდივიდის სოციუმში დაბრუნებას აღნიშნავს, რა დროსაც მის მიერ სხვა ადამიანების გარემოცვაში ცხოვრების შესწავლა ხდება. ამ დროს მნიშვნელოვანია პიროვნებამ დაიცვას კონკრეტულ საზოგადოებაში

---

<sup>53</sup> გ. ტყეშელიაძე და სხვები, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ. 487

მიღებული წესრიგი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გაირიყება და უარყოფილი იქნება სოციუმის მხრიდან. საზოგადოებაში კანონის უზენაესობის დაცვა უპირატესი პრინციპია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადამიანი დაარღვევს დამკვიდრებულ წესებს, რეაქციაც შესაბამისია: მათ არ სურთ რომელიმე დანაშაულში ბრალეული პირის გვერდით ცხოვრება, რის გამოც ზურგს აქცევენ მას. შედეგად დგება ის, რომ ხდება პიროვნების გარიყვა და მისი დესოციალიზაცია.<sup>54</sup> დანაშაულის ჩამდენი პიროვნება, მისი შინაგანი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კვლავ საზოგადოებაში დაბრუნებისკენ მიილტვის, ანუ, ცდილობს რესოციალიზაციას. თავსართი „რე“ მიუთითებს ადამიანის საზოგადოებაში ხელახლა დაბუნებაზე.<sup>55</sup>

ტერმინი „რესოციალიზაცია“ სისხლის სამართლის კანონში განხორციელებული ნოვაცია.<sup>56</sup> მისი განმარტება მოცემულია პატიმრობის კოდექსში (ძალაში შესვლის თარიღი 01.10.2010). აღნიშნული კოდექსის 116-ე მუხლში რესოციალიზაციის არსი შემდეგნაირად არის განმარტებული: „1. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებელი წევრებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება; 2. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებებია: ა) სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება; გ) აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ; დ) მსჯავრდებულთა დასაქმება; ე) ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება; ვ) საზოგადოებასთან ურთიერთობა. 3. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის,

<sup>54</sup> ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 29

<sup>55</sup> ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 86

<sup>56</sup> მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 181

მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.”<sup>57</sup>

როდესაც ვსაუბრობთ დამნაშავეს რესოციალიზაციაზე, აუცილებელია, რომ აღვნიშნოთ ის ფაქტორები, რომლების დამნაშავეს რესოციალიზაციას უწყობს ხელს და მას ეხმარება საზოგადოებაში თავის დამკვიდრებაში. დამნაშავეს რესოციალიზაცია მთლიანად ორიენტირებულია მსჯავრდებულის პიროვნებაზე და მომავლისკენაა მიმართული.<sup>58</sup>

დამნაშავეს რესოციალიზაციის კუთხით მსჯავრდებულისთვის სასჯელის პირობითად ჩათვლა არ არის ეფექტური სადამსჯელო ღონისძიება, ვინაიდან დამნაშავეს ამ დროს ეუფლება განცდა, რომ ის დაუსჯელი დარჩა მის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისთვის. რეალურად არ არსებობს პრობაციის სამსახური, რომელიც კონტროლს და დახმარებას განახორციელებდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული მსჯავრდებულის მიმართ. თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლით ვერ მიიღწევა სასჯელის ის მიზანი, როგორცაა დამნაშავეს რესოციალიზაცია, ვინაიდან გამოსწორება შეიძლება მოხდეს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის რეალურად მოხდით. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დამნაშავეს მორალური გამოსწორება არ არის სასჯელის მიზანი,<sup>59</sup> მაგრამ კონკრეტული სასჯელის გამოყენებამ, ვფიქრობ, დამნაშავე პიროვნების მხრიდან უნდა გააჩინოს განცდა, რომ იგი დაისაჯა თავისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, რის გამოც უნდა გაუჩნდეს საზოგადოებაში დაბრუნების სურვილი, ხოლო თავის მხრივ, საზოგადოებამაც უნდა გამოხატოს მზაობა იმისა, რომ „მიიღოს” სასჯელმოხდელი პიროვნება ისეთად, როგორც ის არის და არ მოხდეს მისი გარიყვა და დამნაშავეს სტატუსით მოხსენიება.

<sup>57</sup> პატიმრობის კოდექსი, 2010 წლის 09 მარტი, მუხლი 116

<sup>58</sup> ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 29

<sup>59</sup> გ. ნაჭყებია, მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების” საკუთხისათვის, ჟურნალი „სამართალი”, N3-4, 1995 წელი, გვ. 43

ბრალდებულისთვის სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლა, როგორც აღვნიშნე, ნაკლებად იძლევა მისი გამოსწორების შესაძლებლობას. აღნიშნულის დამადასტურებელია არაერთი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის დროსაც პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში მსჯავრდებულს ჩაუდენია ახალი დანაშაული. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 16 თებერვლის განაჩენით გ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით.<sup>60</sup> სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები: ბრალდებული გ. ბ. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 24 აგვისტოს განაჩენით იქნა გასამართლებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და განაჩენის გამოტანის დროისთვის იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. სახეზეა დანაშაულის რეციდივი, ვინაიდან პირობითმა მსჯავრმა ვერ შეძლო სასჯელის მიზნის - დამნაშავის რესოციალიზაციის შესაძლებლობა და ბრალდებულმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი დანაშაული. მოსამართლემ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით და გ. ბ.-ს სასჯელის ვადა განუსაზღვრა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადაზე ერთი წლით მეტი. საბოლოოდ, მოსამართლემ გააუქმა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაუმატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ გ. ბ.-ს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლისა და 06 (ექვსი) თვის ვადით. როგორც ვხედავთ, პირობითმა მსჯავრმა ვერ შეძლო სასჯელის მიზნის მიღწევა და დამნაშავე ვერ

<sup>60</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 16 თებერვლის განაჩენი, საქმე N1/243-17

გამოსწორდა. საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არაერთი განაჩენი არსებობს პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი დანაშაულისთვის შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის კვლავ პირობითად ჩათვლისა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბრალდებული დანაშაულს აღიარებს და მასთან თორმდება საპროცესო შეთანხმება. სიღნაღის რაიონული სასამართლოს განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალდებულ დ. რ-სა და ბრალდების მხარეს შორის 2017 წლის 07 ივნისის განაჩენით,<sup>61</sup> რა დროსაც დ. რ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებებთან ერთად ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 05 (ხუთი) წლის ვადით და განაჩენის გამოტანიდან ერთი წლის ვადაში გამოვლენილ იქნა, რომ მართავდა ავტომანქანას, რისთვისაც მან ჩაიდინა განაჩენის შეუსრულებლობა, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით. დ. რ. იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის ქვეშ და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, რაც კვლავ პირობით ჩაეთვალა. როგორც აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში, პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი ახალი დანაშაულის დროს დანიშნული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლა დასაშვებია საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, რაც სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიზმის პრინციპის გამოხატულებაა დამნაშავეებთან მიმართებაში, ვინაიდან ამ სადამსჯელი ღონისძიების გამოყენებით მათი რესოციალიზაცია არ ხდება და კვლავ ჩადიან ახალ დანაშაულს.

---

<sup>61</sup> სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 07 ივნისის განაჩენი, საქმე N1/118-17

## 2.3.2. დანაშაულის პრევენციის მიზნის მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი მიზანია დანაშაულთან ბრძოლა. სახელმწიფო სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით ცდილობს დანაშაულთან ბრძოლას და საამისოდ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

დანაშაულის თავიდან აცილების პოლიტიკა გარკვეულ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. „პროფილაქტიკა“ (აღმოფხვრა, პრევენცია) წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ საქმიანობას, რომელიც, როგორც წესი, არ არის დაკავშირებული კონკრეტული პირებისთვის თავისუფლების აღკვეთასთან. იგი მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სრულყოფისკენ. აღნიშნული თვალსაზრისით „პროფილაქტიკა“ გულისხმობს ჰუმანიზმისა და რაციონალობის პრინციპებს.<sup>62</sup>

ადამიანის ქცევის ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია წინასწარ და არანაირი მეცნიერული მეთოდით არ არის შესაძლებელი. შესაძლებელია მხოლოდ იმ ალბათობის ხარისხის შეფასება, ჩაიდენს თუ არა კონკრეტული დამნაშავე სხვა სისხლისსამართლებრივ ქმედებას. ადამიანის სამომავლო ქმედებების პროგნოზირება კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია.<sup>63</sup> „კრიმინალური პროგნოზი კრიმინალური მოვლენებისა და პროცესების შესახებ ვარაუდის შედეგია, რომელიც ემპირიული მონაცემების ანალიზს ეფუძნება და წარსულიდან ანმყოფად და ანმყოფად მომავლამდე საზოგადოების განვითარების ტენდენციებს ითვალისწინებს. კრიმინალური პროგნოზის დროს საქმე გვაქვს ალბათობითი ტიპის ფრაგმენტთან პირის სამომავლო

<sup>62</sup> ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005, გვ. 149

<sup>63</sup> მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 2

ლევალური ქმედების შესახებ. წარსულისა და აწმყოს კრიმინოლოგიური კვლევის გარეშე კრიმინალური პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია.”<sup>64</sup>

კრიმინოლოგიური პროგნოზის კვლევისას, მეცნიერები, ძირითადად, მრავალეპიზოდური კვლევებს იყენებდნენ, ადგენდნენ პატიმართა ჯგუფის სოციალურ და ფსიქიკურ თვისებებს (ოჯახური ურთიერთობები, ნასამართლობა, სამუშაო უნარები, ინტელექტი) და მათ სასჯელაღსრულების დანესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ აკვირდებოდნენ.<sup>65</sup>

დამნაშავეობის შემცირების კუთხით საინტერესოა სახელმწიფოს პრევენციული კრიმინალური პოლიტიკა. პრევენციული კრიმინალური პოლიტიკის მიზანია, მოზარდთა თავისუფალი დროის მაქსიმალურად შევსება. ინტერასტრუქტურული პროექტების გარდა, სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს კომუნიკაციის, ფსიქოლოგიური დახმარების სხვადასხვა ღონისძიებებს. ისიც აღსანიშნავია, რომ თავისუფალი დროის სწორად დაგეგმვამ შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილებაში.<sup>66</sup>

„დანაშაულობის თავიდან აცილება არის სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობა, მიმართული დანაშაულობის წინააღმდეგ მისი სოციალურად მოსათმენ ღონეზე შენარჩულების მიზნით მისი წარმომშობი მიზეზების აღმოფხვრის ან ნეიტრალიზაციის მეშვეობით.”<sup>67</sup> დანაშაულის თავიდან აცილების აღნიშნული განმარტება ნიშნავს დანაშაულის ჩადენის მიზეზების გარკვევას, რომელსაც დიდ დახმარებას უწევს კრიმინოლოგიური კვლევები დანაშაულობის მიზეზების გარკვევის შესახებ. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება თავისი არსიდან და ბუნებიდან გამომდინარე, თავის თავში

---

<sup>64</sup> იქვე, გვ. 14

<sup>65</sup> იქვე, გვ. 3

<sup>66</sup> მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 34

<sup>67</sup> ზ. წულაია, კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბილისი, 2005, გვ. 150

მოიცავს კერძო (სპეციალურ) და ზოგად (გენერალურ) პრევენციას. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, სასჯელი განიხილება როგორც საზოგადოების დასაცავად მიმართული ღონისძიება, რომლის მიზანია, ზემოქმედება მოახდინოს არა მხოლოდ დამნაშავეებზე, არამედ საზოგადოების სხვა წევრებზეც. ვინაიდან ყოველი კონკრეტული დანაშაულისთვის ისეთი სიმკაცრის სასჯელი უნდა დაინიშნოს, რომ მსჯავრდებულს დაეკარგოს მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილი და ასევე დაშინდნენ საზოგადოების სხვა წევრებიც, რათა თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებებისგან.<sup>68</sup> სამაგიეროს მიზლის მიზნისგან განსხვავებით, სახელმწიფოს მხრიდან სასჯელის მიზანში უფრო პრაქტიკული დანიშნულების იდეაა გამოხატული და ცივილიზებულ სახელმწიფოებს ავალდებულებს, დანაშაული მანამდე აირიდონ თავიდან, სანამ დაიწყებენ იმაზე ფიქრს, როგორ დასაჯონ დამნაშავე.<sup>69</sup>

დანაშაული, როგორც კულტურული, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური განვითარებისთვის ხელისშემშლელი მოვლენა, ხშირად ექცევა სახელმწიფოს, საზოგადოების და მასმედიის ყურადღების ცენტრში. აღნიშნულის მიზეზია საზოგადოებაში გავრცელებული განცდა სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის დაუცველობის შესახებ. დანაშაულობის მატებასთან ერთად იმატებს მოსახლეობაში დაუცველობის განცდაც.<sup>70</sup> დანაშაულის პრევენცია, ანუ დანაშაულის თავიდან აცილება უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენამდე და არა მის შემდეგ სასჯელის გამოყენებით. თუ დანაშაულის თავიდან აცილება მის ჩადენამდე მოხდება, ცხადია, საზოგადოებას ექნება განცდა, რომ იგი დაცულია სახელმწიფოს მხრიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ დანაშაულის თავიდან აცილებით ზიანს თავიდან აიცილებს მსხვერპლი, რაც საზოგადოების ღონეზე მისაღები და იმედის მომცემია. დანაშაულის პრევენცია მიმართულია ისეთი ღონისძიებების გატარებისკენ, რომელთა საშუალებითაც სანამ

<sup>68</sup> Джон Локк, Сочинения, Москва, 1998, том III, ст 268

<sup>69</sup> М. Шаргородский, наказание по Уголовному праву эксплуататорского общества, Госюриздат, 1957, ст. 83

<sup>70</sup> გ. ლლონტი, კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008, გვ. 332

დანაშაულის ჩადენა მოხდება, გამოვლინდეს და შესწავლილ იქნეს დანაშაულის ჩადენის რისკ-ფაქტორები მათი პროფილაქტიკის მიზნით, მოხდეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს და საზოგადოებრივი ურთიერთობების იმგვარი მონყოლა, რომ შესაძლებელი გახდეს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების შეძლებისდაგვარად გამორიცხვა.<sup>71</sup>

დანაშაულის პრევენციის სამი სახე არსებობს: პირველადი, მეორადი და მესამედი პრევენცია, რომელთა შორის განსხვავებაც დამოკიდებულია დანაშაულის საშიშროებაზე. დანაშაულის პირველადი პრევენცია საყოველთაოა და მისი მიზანია დანაშაულის „ფესვებში“ აღმოფხვრა, რაც გულისხმობს მოსახლეობაში სამართლის ნორმებისადმი პატივისცემის გრძობის ამაღლებას, დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორების აღმოსაფხვრელად ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა უმუშევრობის აღმოფხვრა, უსახლკარობის პრობლემა და სხვ. დანაშაულის მეორადი პრევენცია მიმართულია დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის დაცვისკენ, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ დანაშაულის ჩასადენად მომზადებული პირების დაშინებისკენ. ამ მხრივ პრობლემატურია დანაშაულის საფრთხის წინასწარ განსაზღვრა. პირველადი და მეორადი პრევენციისგან განსხვავებით, რაც გულისხმობს გარკვეული ღონისძიებების გატარებას დანაშაულის ჩადენამდე, მესამედი პრევენცია ეხება დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდს. მესამედი პრევენციის მიზანია დამნაშავე პირების მიმართ ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც ხელ შეუწყობს მათ გამოსწორებას და საზოგადოებას თავიდან ააცილებს ახალი დანაშაულის ჩადენას. მესამედი პრევენციის მიხედვით, სისხლის სამართლის კლასიკური სასჯელებისგან განსხვავებით, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა, გამოყენებული უნდა იქნას ისეთი სახის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს დამნაშავის გამოსწორებას.<sup>72</sup>

აღნიშნული ნაშრომი სწორედ ისეთი საკითხის პრობლემატურობას და აქტუალურობას ეხება, როგორცაა დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა. იგი

<sup>71</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 219

<sup>72</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 223

პირდაპირ უნდა პასუხობდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს და უზრუნველყოფდეს მათ მიღწევას. იმის გათვალისწინებით, რომ პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში დამნაშავე პიროვნება არ იხდის სასჯელს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ეს მისი პიროვნების მართლშეგნებიდან გამომდინარე, უნდა იყოს ეფექტური სასჯელი ახალი დანაშაულის თავიდან აცილების კუთხით, ვინაიდან სახელმწიფო დამნაშავე პიროვნებას აძლევს „შანსს“, დაფიქრდეს მის მიერ როგორც უკვე ჩადენილ, ასევე სამომავლო ქმედებაზე და ამ გზით თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

### **2.3.3. სამართლიანობის აღდგენის მიზნის მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში სასჯელის ერთ-ერთ მიზნად, დანაშაულის პრევენციასა და დამნაშავეს რესოციალიზაციასთან ერთად დასახელებულია სამართლიანობის აღდგენა. სამართლიანობის აღდგენის ცნება სასჯელის სხვა მიზნებისგან არ არის განყენებული. პირიქით, იგი თავისი არსით ემსახურება დამნაშავეს რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს, თუმცა, სამართლიანობა უფრო ფართო ცნებაა და სასჯელის დანარჩენი ორი მიზნის გარდა, ბევრ სხვა ფაქტორსაც მოიაზრებს.<sup>73</sup> სამართლიანობის აღდგენა, იურიდიულ ლიტერატურასა და ფილოსოფიურ წრეებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, გულისხმობს შურისძიებას ჩადენილისთვის და

<sup>73</sup> გ. ტყეშელიაძე და სხვები, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ. 485

გამოხატულია დამნაშავეისთვის სამაგიეროს მიზღვაში.<sup>74</sup> აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფო გამოდის დამსჯელის როლში, რადგან ჩადენილი დანაშაულის სანაცვლოდ დამნაშავე ცნობს პიროვნებას და მას სამაგიეროს უხდის სასჯელის სახით. სწორედ სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს იმას, რომ ადამიანი, რომელმაც თავისი დანაშაულებრივი ქმედებით სხვას ზიანი მიაყენა, დაუსჯელი არ დარჩეს.<sup>75</sup> სამართლიანობა საზოგადოებაში არსებული ბუნებრივი კატეგორიაა, რომელიც დანაშაულის ჩადენის შედეგად ირღვევა, შესაბამისად, ცნება „აღდგენა“ მიუთითებს, რომ სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა დარღვეული სამართლიანობა უნდა აღადგინოს და ძველებური მდგომარეობა დააბრუნოს. სამართლიანობის აღდგენაში, აღსანიშნავია, რომ არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ სამოქალაქოსამართლებრივი ზიანის ანაზღაურება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რადგან დანაშაული მატერიალური ზიანის გარდა, საზოგადოებას მორალურ და პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს. რომლის აღდგენაც პირვანდელ მდგომარეობაში შეუძლებელია. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ითვლება, რომ დანაშაულის შედეგები შეუქცევადია.<sup>76</sup> სამართლიანობის აღდგენა სახელმწიფოს უპირველესი მიზანია, მაგრამ აღნიშნული მიზნის მიღწევას ძირითადად, დაზარალებული მხარე ცდილობს, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს და სასამართლოს მოუწოდებს, კანონის უმკაცრესი ზომები გამოიყენონ და დამნაშავე სამაგალითოდ დასაჯოს. თანამედროვე ეპოქაში სამართლიანობის აღდგენა აღარ გულისხმობს შურისძიებას, როგორც ეს ხდებოდა თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბებამდე, როდესაც ტალიონის პრინციპზე დაყრდნობით ადამიანები ერთმანეთს თავად უსწორდნებოდნენ და ამ გზით აღადგენდნენ სამართლიანობას. სამართლიანობის აღდგენის არსის სწორად განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია, თუ ვისი პოზიციიდან დავინახავთ ამ მიზანს.

<sup>74</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 128

<sup>75</sup> მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ. 173

<sup>76</sup> გ. ნაჭყეია, სისხლის სამართლის საგანი, თბილისი, 1997, გვ. 59

ბუნებრივია, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი დაზარალებულში შურისძიების განცდას აღძრავს, შურისძიების განხორციელება კი ამშვიდებს მას ემოციურად, რადგან შურისძიება ტანჯვას წყვეტს ან ამცირებს და მას სიამოვნებად აქცევს.<sup>77</sup> დაზარალებული მხარე, როგორც წესი, მოითხოვს დამნაშავის დასჯას რაც შეიძლება მცირე ვადაში, რადგან მას აქვს სამართლიანობის აღდგენის დაუოკებელი სურვილი. დაზარალებული, ხშირ შემთხვევაში, ითხოვს ბრალდებულის დაუყოვნებლივ მოთავსებას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ანდა მის მიმართ ისეთი სანქციების გამოყენებას, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა არც კი იცნობს (მაგალითად, სიკვდილით დასჯა). დაზარალებულს აქვს იმედი, რომ სახელმწიფოს მხრიდან იგი დაცულია, მაგრამ დანიშნული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლით მას უჩნდება პროტესტის გრძობა და აგრესია, მიაჩნია, რომ მართლმსაჯულება ზედმეტად ლმობიერად ხორციელდება.

დაზარალებული მხარისგან სრულიად განსხვავდება მსჯავრდებულის მხრიდან აღქმული სამართლიანობის აღდგენა. უპირატესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დანიშნულმა სასჯელმა თავად მსჯავრდებულს არ აგრძნობინოს თავი დაზარალებულად, იმ მხრივ, რომ მას სახელმწიფო სათანადოდ გაუსწორდა. აღნიშნული მიზანი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც ყოველი კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვის შესაფერისი და პროპორციული სასჯელი იქნება დანიშნული, რაც მსჯავრდებულს აფიქრებინებს, რომ მისი ტანჯვა მხოლოდ მისივე ქცევითაა განპირობებული.<sup>78</sup> მცირედი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბრალდებული ზედმეტად განიცდის მისი ქმედების შედეგად დაზარალებულისთვის მიყენებულ ზიანს და თავადვე ითხოვს სასამართლოსგან მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის უმკაცრესი ზომის შეფარდებას. აღნიშნული შემთხვევები დაფიქსირებულა საკუთრების წინააღმდეგ

<sup>77</sup> არისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, 1981, გვ. 88

<sup>78</sup> ზ. ნანობაშვილი, სასჯელის რაობა ფილოსოფიური თვალსაზრისით, ჟურნალი „სამართალი“, N1-2, 1998, გვ. 61

მიმართული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს სირცხვილის გრძნობა ამოძრავებს როგორც მოსამართლის და სხდომაზე დამსწრე გარეშე პირების, ასევე საკუთარი ნათესავების და დაზარალებული მხარის მიმართ. დამნაშავეობის განცდა ასევე ხშირია სატრანსპორტო დანაშაულების ჩადენის შემთხვევაშიც, როდესაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ასეთ დროს ბრალდებული მისი სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზევე მოითხოვს უმკაცრესად დასჯას. სამართლიანობის აღდგენის განცდა ყოველი ბრალდებულის მხრიდან ინდივიდუალურია. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩანს, რომ ბრალდებული აშკარად გრძნობს საკუთარი ქმედებით გამოწვეულ ზიანს და გულწრფელად განიცდის მას, შესაბამისად, სამართლიანად აღიქვამს და ეგუება მისთვის შეფარდებულ სასჯელს, მეტიც, თავად მოითხოვს, სასჯელი მაქსიმალურად მკაცრი იყოს. სხვა შემთხვევებში კი, როდესაც ბრალდებულმა ყველაზე უკეთ იცის საკუთარი ქცევის მართლწინააღმდეგობის შესახებ, ჯიუტად არიდებს თავს დანაშაულის აღიარებას, თავს არ თვლის დამნაშავედ და, შესაბამისად, დაკისრებული სასჯელიც მისი ქმედებისთვის ზედმეტად არაადეკვატურად და შეუფერებლად მიაჩნია. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენის განცდა თითოეულ ადამიანში, რომელიც დანაშაულს ჩადის, სუბიექტურია და მათი რეაქცია დანიშნული სასჯელის შემდეგ არ შეიძლება იყოს სამართლიანობის აღდგენის საზომი. სახელმწიფო ყოველ კონკრეტულ პიროვნებას ინდივიდუალურად უნდა მიუდგეს და მისი ქმედებისათვის და პიროვნებისათვის შესაფერისი და ადეკვატური სასჯელი შეუფარდოს. შესაძლოა ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ორ პიროვნებას განსხვავებული სასჯელი შეეფარდოს, მათი პიროვნებებიდან გამომდინარე.

მოცემულ შემთხვევაში, თემაში დასმული პრობლემის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს, აღდგება თუ არა სამართლიანობა პირობითი მსჯავრის შეფარდებისას. სამართლიანობის იდეა თავად პირობითი მსჯავრის საფუძველშივე ჩანს, რადგან მისი

გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდის გარეშე მსჯავრდებულის გამოსწორებას უკავშირდება.<sup>79</sup> გამოდის, რომ პირობითი მსჯავრის შეფარდებით ნამდვილად მიიღწევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიზანი - სამართლიანობის აღდგენა, ვინაიდან პირობითი მსჯავრი სასჯელის ინდივიდუალიზაციის ყველაზე კარგი გამოხატულებაა. მოცემულ შემთხვევაში ხდება დანაშაულის ჩამდენი პიროვნების პერსონალური მახასიათებლების გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის მხრიდან ბრალდებულისთვის შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლა თითქმის მიუღებელია, რადგან მას სასჯელის ეს ზომა არაფრად არ მიაჩნია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სულ სხვა თვალთაა დანახული სამართლიანობის აღდგენა ბრალდებულის მხრიდან. სამართლიანობის აღდგენის მიზნის მიღწევა საზოგადოებამ უნდა აღიაროს, რადგან სწორედ ხალხია ის ნეიტრალური „შემფასებელი“, ვინც არ წარმოადგენს არც ბრალდებულის და არც დაზარალებულის მხარეს.

---

<sup>79</sup> მ. ქათამაძე, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, ჟურნალი „სამართალი“, N10-11-12, გვ. 145

## § 2.4. პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთისას

### 2.4.1. პირობითი მსჯავრის არსი და განვითარების ისტორია

პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს საკმაოდ ვრცელი წარმოშობისა და განვითარების ისტორია აქვს. იგი გამოიყენებოდა როგორც ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახში, ასევე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. სახელმწიფოებში აღნიშნული ტერმინი დამკვიდრებულია „პრობაციის“ სახელით, თუმცა, ეს ტერმინი უფრო XIX საუკუნისაა და მას პირველად XIII საუკუნის ინგლისის კანონმდებლობაში ვხვდებით. „პრობაციის“ ინსტიტუტის მიზანი იყო ბრალდებულსა და მოსამართლეს შორის შეთანხმება, რომლის ძალითაც მოსამართლეს განაჩენი გამოჰქონდა პირის მსჯავრდების გარეშე, ხოლო ამის სანაცვლოდ ბრალდებული კისრულობდა ვალდებულებას, დაეცვა საზოგადოებრივი წესრიგი და დამორჩილებოდა კანონის მითითებებს. ამ პერიოდისთვის არ არსებობდა სათანადო ორგანო, რომელიც მსჯავრდებულის სათანადო ქცევაზე განახორციელებდა კონტროლს.<sup>80</sup> თანამედროვე პრობაციის ინსტიტუტს რაც შეეხება, მას განვითარების საუკუნუნახევრიანი ისტორია აქვს.<sup>81</sup> მას, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა საფუძველი, კერძოდ, 1841 წელს ჯონ ავგუსტუსმა, რომელიც პრობაციის პირველი

<sup>80</sup> უ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999, გვ. 431

<sup>81</sup> გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 36

ოფიცერი იყო, მოსამართლისგან თანხმობა მიიღო, ებრუნა დამნაშავეზე, რომელიც იყო ლოთი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოსწორდებოდა, მოსამართლე განაჩენს აღარ გამოიტანდა. ევროპის ქვეყნებში პირველად ინგლისში განხორციელდა დამნაშავეთა პრობაციის შესახებ კანონის მიღება.<sup>82</sup> რაც შეეხება საქართველოში პრობაციის სამსახურის შექმნას, საქართველოს სისხლის სამართლის კანონის ევროპის ერთიან სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასთან ინტეგრირების შედეგად, დამნაშავეების მიმართ, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ არასაპატიმრო სასჯელი, კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება 2001 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროდან გადავიდა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციაში. ვიდრე შეიქმნებოდა პრობაციის სამსახური, იუსტიციის სამინისტროში ფუნქციონირებდა სააღსრულებო სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 24 მაისის N80 ბრძანებით „პრობაციის სამსახურის ფუნქციების განხორციელებისა და პირობითი მსჯავრის დანიშვნის, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ“. ხსენებული ბრძანება განსაზღვრავდა პირობითი მსჯავრის დანიშვნის, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოხდის გადავადების შესახებ სასამართლო გაანჩენის აღსრულების წესს. 2007 წლის 17 ივლისიდან კი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი შევიდა ძალაში, რომლის თანახმად, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროები გარდაიქმნა უშუალოდ პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებად.<sup>83</sup> „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებია: ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის

<sup>82</sup> ი. ხერხეულიძე, პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომების შედარებითი ანალიზი). მზია ლეკვეიშვილი - 85. საიუბილეო სტატიათა კრებული, თბილისი, 2014, გვ. 174

<sup>83</sup> გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 38

რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია) და რეაბილიტაცია (მსჯავრდებულის გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრად დაბრუნება).” ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი „პრობაციის ეროვნული სააგენტო თავის მიზნებს ახორციელებს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობითა და დახმარებით.”<sup>84</sup> როგორც ვხედავთ, ზემოთხსენებული კანონის შესაბამისად, იმ ორგანოს მიზნები, რომელიც ახორციელებს მსჯავრდებულების მიმართ კონტროლსა და დახმარებას, ეხმიანება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს - სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას. აღნიშნულ კანონში მითითებულია მსჯავრდებულის რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე, მაშასადამე, პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული მსჯავრდებულების მიმართ კონტროლის განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოა, ევალება მსჯავრდებულებს მიუდგეს ინდივიდუალურად, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ გამოსწორებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებას, თავიდან აარიდებს საზოგადოების თვალში „დამნაშავედ“ აღიარებას, ამასთან, უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას და დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილებას.

ჩვენს ქვეყანაში პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი შემოვიდა საბჭოთა კავშირის პერიოდში 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, რომლის 50-ე მუხლის თანახმად, „უკეთუ ისეთი განაჩენის გამოტანის დროს, რომლითაც გადაწყვეტილია იძულებითი მუშაობა ან თავისუფლების აღკვეთა, აღმოჩნდება, რომ მსჯავრდებული იმდენად საზოგადოებრივად საშიში არ არის, რომ საჭირო იყოს მისი

---

<sup>84</sup> საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, მუხლი მე-7, თბილისი, 2007 წლის 19 ივნისი, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით

იზოლაცია ან იძულებითი მუშაობა, სასამართლოს უფლება აქვს, დაადგინოს - განაჩენი სისრულეში არ იქნეს მოყვანილი, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მსჯავრდებულმა სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის განმავლობაში არ ჩაიდინოს ახალი, არა ნაკლებ მძიმე დანაშაული. ეს გამოსაცდელი ვადა არ შეიძლება ერთ წელიწადზე ნაკლები იყოს და ათ წელიწადზე მეტი”. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსით მოსამართლეს ჰქონდა უფლებამოსილება პირობითი მსჯავრის შეფარდებისა. ასევე მოსამართლეს უნდა შეემოწმებინა, იყო თუ არა პიროვნება საზოგადოებრივად საშიში და იმის მიხედვით გადაეწყვიტა, იგი სასჯელს თავისუფლოების აღკვეთის დაწესებულებაში მოიხდიდა თუ თავისუფლების აღკვეთა პირობით ჩაეთვლებოდა. საბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის კოდექსის 46-ე მუხლის თანახმად კი, რომელიც ამოქმედდა 1961 წელს, ნათქვამი იყო, რომ „თუ თავისუფლების აღკვეთის ან გამასწორებელ სამუშაოთა სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, გაითვალისწინებს რა ბრალდებულის პიროვნებას, დარწმუნდება, რომ მიზანშეწონილია ბრალეულმა მოიხადოს დანიშნული სასჯელი, მას შეუძლია დაადგინოს, რომ სასჯელი პირობით არ იქნეს გამოყენებული ბრალეულის მიმართ. ამასთან, განაჩენში აუცილებლად უნდა აღინიშნოს პირობით მსჯავრდების მოტივები. ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს, რომ განაჩენი არ მოიყვანება სისრულეში, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებულის არ ჩაიდინს ახალ დანაშაულს და სანიმუშო ყოფაქცევით და პატიოსანი შრომით გაამართლებს მისდამი გამოცხადებულ ნდობას”. აღსანიშნავია, რომ კანონის აღნიშნულ ჩანაწერში, მისი წინამორბედის მსგავსად, ხაზგასმულია მოსამართლის თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილების შესახებ მსჯავრდებულის მიმართ შეფარდებული თავისიფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლასთან დაკავშირებით. კანონი მოსამართლეს ავალდებულებს, დაასაბუთოს ის მოტივები, თუ რატომ არ უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასჯელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. იგივე მოეთხოვებოდა მოსამართლეს სასჯელის სახით გამასწორებელი სამუშაოების დანიშვნის დროს. მოსამართლეს უნდა შეესწავლა

ბრალდებულის პიროვნება, გამოეკვეთა და დაესაბუთებინა მის მიერ სასჯელის მოხდის მიზანშეწონილობის საკითხი არასაპატიმრო პირობებში და ბრალდებულსაც, თავის მხრივ, უნდა გაემართლებინა მოსამართლის მიერ მის მიმართ გამოცხადებული ნდობა კანონმორჩილებითი და პატიოსანი შრომით. 2000 წელს კი სისხლის სამართლის ახალი კოდექსი შევიდა ძალაში, რომლის 63-ე მუხლში გადმოცემული იყო, რომ „თუ მსჯავრდებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, თავისუფლების შეზღუდვის, ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო დაადგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“. გასათვალისწინებელია, რომ ახალი რედაქციაც მოსამართლის კომპეტენციას მიაკუთვნებდა მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლას და მისთვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას, ასევე დანაშაულის ხასიათის შეფასებას. 2006 წლის კანონით კი, წინა კოდექსისგან განსხვავებით, გაუქმდა იმ სასჯელების ჩამონათვალი, რომელთა პირობითად ჩათვლაც შეეძლო მოსამართლეს. მას პრაქტიკულად აღარ ჰქონდა პირობითი მსჯავრის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების უფლება და ეს უფლება ბრალდების მხარეს მიეცა. დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსშიც პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი მთლიანად ბრალდების მხარის ხელშია, როდესაც ბრალდებულსა და პროკურორს შორის ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება. იმის გათვალისწინებით, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენება ხდება სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის დროს, შესაბამისად, იგი აუცილებლად უნდა პასუხობდეს და შეესაბამებოდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებს. მართალია, პირობითი მსჯავრი, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს სასჯელის ერთ-ერთ სახეს, მაგრამ იგი თავისუფლების აღკვეთასთან, ანუ სასჯელის სახესთან ერთად არსებობს და მისი გამოყენება მხოლოდ მოსამართლის კომპეტენცია შეიძლება იყოს. სწორედ მოსამართლე უნდა აფასებდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, დანაშაულის სიმძიმეს, მსჯავრდებულის პიროვნებას და ამის შესაბამისად წყვეტდეს სასჯელის პირობითად ჩათვლის საკითხს. ყოველი

კონკრეტული პიროვნებისადმი აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა, რომ სასჯელის პირობითად ჩათვლამ შეასრულოს თავისი მიზნები - აღდგეს სამართლიანობა, თავიდან იქნეს აცილებული ახალი დანაშაული და მოხდეს დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნება.

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს მოსამართლე მსჯავრდებულს ათავისუფლებს სასჯელის რეალურად მოხდისგან გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ.<sup>85</sup> აღნიშნული მოსაზრება გულისხმობს ბრალდებულის მიერ კანონის შესაბამისად მოქმედებას, რომლის „შესრულების“ შემთხვევაშიც იგი სასჯელს აღარ მოიხდის რეალურად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. სახელმწიფო პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის ჩამოყალიბებით ხელს უწყობს დამნაშავეს და, მართალია, რეალურად უნიშნავს სასჯელს, მაგრამ მისი მხრიდან სათანადო ქცევის განხორციელების პირობით აღარ ათავსებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. აღნიშნული კი წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანიზმის პრინციპის გამოხატულებას და დამნაშავის პოზიტიურ განწყობას იწვევს - იგი თვლის, რომ სახელმწიფომ არ გამოაცხადა დამნაშავედ და დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა „აპატია“ მისი მხრიდან სათანადო ქცევის სანაცვლოდ.

#### 2.4.2. პირობითი მსჯავრის გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში

დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XII თავი ეხება მთლიანად პირობით მსჯავრს. 63-ე მუხლი აწესრიგებს პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს საფუძვლებს, რა დროსაც

<sup>85</sup> ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 127

შესაძლებელია სასჯელის პირობითად ჩათვლა. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად“. დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში განსხვავებულად მონესრიგდა სასჯელის პირობითად ჩათვლის საკითხი. როგორც უკვე აღინიშნა, ახალი კოდექსის ამოქმედებამდე არსებული სისხლის სამართლის კოდექსით დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა მოსამართლის პრეროგატივა იყო ბრალდებულის პიროვნების შესწავლის შესაბამისად. ახალი კოდექსი კი მოსამართლის უფლებამოსლებას ერთგვარად ზღუდავს და ჩარჩოებში აქცევს, ვინაიდან მისი უფლებამოსილება ამ შემთხვევაში შეზღუდულია საპროცესო შეთანხმების არსებობით. მოსამართლეს შეუძლია სასჯელი პირობითად ჩათვალოს, თუ მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება იქნება მოღწეული. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები კი მონესრიგებულია დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავში. საპროცესო შეთანხმების დადებისთვის აუცილებელი პირობა, კანონის თანახმად, პირის აღიარებაა, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 209-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე“. სასჯელზე შეთანხმება, თავისთავად, მოიაზრებს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარებას და ბრალდების მხარესთან მორიგებას პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე. აღნიშნულ ვითარებაში, ვინაიდან ბრალდების მხარეს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური იურისტი, ხოლო ბრალდებული, უმეტეს შემთხვევაში, არ არის იურიდიული განათლების მქონე, მისი უთანასწორო მდგომარეობაში ყოფნის გამორიცხვის მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების დადება სავალდებულო დაცვის ერთ-ერთ შემთხვევადაა განხილული და შესაბამისად, სავალდებულოა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი. ბრალდებულს მისმა დამცველმა

უნდა აუხსნას საპროცესო შეთანხმების არსი და ის, თუ რატომ ამბობს იგი უარს საქმის არსებით განხილვაზე, ასევე ბრალდებულს გაეწევა იურიდიული კონსულტაცია სასჯელზე და პირობითი მსჯავრის დარღვევის მოსალოდნელ შედეგებზე. გარდა დამცველისა, სასამართლო, ვიდრე დაამტკიცებდეს საპროცესო შეთანხმებას და გამოაცხადებდეს საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს, მსჯავრდებულთან არკვევს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორსა და ბრალდებულს შორის ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება, პირობითი მსჯავრის გამოყენება ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი და იგი არაა შეზღუდული პირის ნასამართლობით, დანაშაულის სიმძიმით და სხვა გარემოებებით. აღნიშნულთან მიმართებაში აუცილებელია მხოლოდ მსჯავრდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარება. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლი საპროცესო შეთანხმების გაფორმების გარდა სხვა შემთხვევებსაც ითვალისწინებს, როდესაც მოსამართლეს შეუძლია სასჯელის პირობითად ჩათვლა, კერძოდ, ამ მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, „თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის“. აღნიშნული მუხლი მიუთითებს პირის წარსულ ცხოვრებაზე, იგი არ უნდა იყოს ნასამართლევი განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, ამასთან, როგორც საპროცესო შეთანხმების დადებისას, აღნიშნულ შემთხვევაშიც პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი პირობაა ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარება. კანონის აღნიშნული ჩანაწერი მიუთითებს, რომ მოსამართლეს სრულად არ ჩამოერთვა პირობითი მსჯავრის გამოყენების უფლებამოსილება და გარკვეულ შემთხვევებში, საპროცესო

შეთანხმების გაფორმების გარეშე შეუძლია დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა. დღეს მოქმედ სასამართლო პრაქტიკას თუ გადავხედავთ, აღნიშნული უფლებამოსილება, საბედნიეროდ, ხშირ შემთხვევაშია გამოყენებული მოსამართლეთა მიერ, რაც გულისხმობს პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის ეფექტურად გამოყენებას და მოსამართლის მხრიდან ყოველი კონკრეტული პიროვნებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას. მოსამართლეს საკუთარი შინაგანი რწმენით და, რა თქმა უნდა, კანონის გამოყენებით შეუძლია ჩათვალოს სასჯელი პირობითად, მას შემდეგ, რაც დაადგენს დანაშაულის სიმძიმეს, საქმის სხვა გარემოებებს, შეისწავლის ბრალდებულის პიროვნებას და შეაფასებს მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს. სწორედ მოსამართლის ხელშია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სასჯელის პირობითად ჩათვლის პრეროგატივა, რა დროსაც მოსამართლე მთლიანად ჩართულია პროცესში და ბრალდებულს უფარდებს სასჯელის იმ სახეს და ზომას, რომელიც ყოველი კონკრეტული პიროვნებისადმი შესაბამისია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. მოსამართლის ხელში არსებული მსგავსი შესაძლებლობა, ვფიქრობ, ნამდვილად იძლევა პირობითი მსჯავრის გამოყენებით სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, რაც ნაშრომის შექმნის უპირველეს მიზანს წარმოადგენს, ვინაიდან მოსამართლე, როგორც დამოუკიდებელი მხარე, პირობითი მსჯავრის გამოყენებით აფასებს, ჩაიდენს თუ არა პირი ახალ დანაშაულს, აღდგენილ იქნება თუ არა სამართლიანობა და გამოსწორდება თუ არა დამნაშავე.

პირობითი მსჯავრის გამოყენება ყოველდღიური სამოსამართლო საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საპროცესო შეთანხმება არის უნივერსალური შესაძლებლობა სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებისა, თუმცა, ამჯერად ამ საკითხზე არ ვისაუბრებთ. ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება სწორედ პირობითი მსჯავრის გამოყენებით სრულდება, ბრალდებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რა დროსაც ხდება შეთანხმება სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. საპროცესო შეთანხმების დამტკიცება და, შესაბამისად, პირობითი მსჯავრის გამოყენება ხდება საქმის განხილვის

ყველა სტადიაზე - როგორც ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვის დროსაც. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა და სხვა სასჯელებთან ერთად განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა. იგი საუკეთესო საშუალებაა დამნაშავეის საზოგადოების მხრიდან უარყოფის თავიდან აცილების კუთხით, ვინაიდან ბრალდებულის მხრიდან, როგორც უკვე აღინიშნა, დადებითი ემოციების გამოხატვას იწვევს, იმის გათვალისწინებით, რომ არ ხდება მისი დამნაშავედ ეტიკეტირება, სახელმწიფო მას თითქმის პატიობს ჩადენილს და მისი მხრიდან სათანადო ქცევის სანაცვლოდ სასჯელის მოხდას პირობით უთვლის. აღნიშნული მიდგომა არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენებით ხდება დანაშაულის სრულად პატიება და დამნაშავე დაუსჯელი რჩება. პირობითი მსჯავრის უკან დგას გარკვეული წინაპირობები, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც კანონი დანაშაულის ჩანდენ პირს პირობითი მსჯავრის გაუქმებას და მის რეალურად დასჯას ჰპირდება. აქედან გამომდინარე, პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი საკმაოდ აქტუალურია და მიზანშეწონილი იქნება, თუ მისი გამოყენების პრეროგატივა მოსამართლის ხელში იქნება იმგვარად, რომ იგი არ შეიზღუდება საპროცესო შეთანხმებით და კანონით განსაზღვრული სხვა პირობებით.

საინტერესოა საქართველოს სასამართლოების სისტემაში სასჯელების გამოყენების სტატისტიკური მონაცემები, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2006-2014 წლების შუალედში. (წინამდებარე სქემა გადმოტანილია გ. არსოშვილის, გ. მიქანაძისა და მ. შალიკაშვილის სახელმძღვანელოდან „კრიმინოლოგია“ თბილისი, 2015 წელი, გვ. 28-19).

სასჯელის სახეები	თავისუფლების აღკვეთა	პირობითი მსჯავრი	სულ მსჯავრდებულთა
2006 წელი	7 930 - 46,9%	7 002 – 41,4%	16 911

2007 წელი	9 788 – 46,2%	9 585 – 45,3%	21 170
2008 წელი	8 846 – 42,5%	10 601 – 51%	20 804
2009 წელი	8 384 – 45,7%	8 599 – 46,9%	18 354
2010 წელი	9 135 – 45,8%	9 484 – 47,6%	19 940
2011 წელი	7 454 – 41,1%	9 498 – 52,3%	18 153
2012 წელი	4 406 – 40,3%	5 305 – 48,6%	10 922
2013 წელი	4 264 – 28,1%	8 639 – 57%	15 166
2014 წელი	5 949 – 35,5%	7 581 – 45,2%	16 776

მოცემული სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს საქართველოში იმ დროისთვის არსებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. როგორც ჩანს, წინა პერიოდში გამოყენებული ალტერნატიული სასჯელები შედარებით მცირე იყო, რაც ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპის გამოხატულებაა, ხოლო შემდგომ წლებში უკვე მომატებულია ალტერნატიული სასჯელების შეფარდების მაჩვენებელი, რაც მიუთითებს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე<sup>86</sup>. როგორც ვხედავთ, თავისუფლების აღკვეთის შეფარდების და მისი პირობითად ჩათვლის სტატისტიკური მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც მიუთითებს მის აქტუალურობაზე კანონით გათვალისწინებულ სხვა ალტერნატიულ სასჯელებს შორის. ალტერნატიული სასჯელის საუკეთესო გამოხატულებაა პირობითი მსჯავრი და ამ მხრივ იგი გარკვეულწილად სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობასაც უზრუნველყოფს. თავისუფლების აღკვეთის რეალურად მოხდა და ყველა ადამიანის ციხეში გამოკეტვა არ იძლევა სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, ვინაიდან, პირველ რიგში, იგი არ არის ადეკვატური სასჯელი ყველა

<sup>86</sup> გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 29

დამნაშავისთვის და შეუძლებელია ყველას ერთი და იგივე სიმძიმის სასჯელი შეეფარდოს სხვადასხვა დანაშაულისთვის. პირობითი მსჯავრის გამოყენებით პიროვნებას შანსი ეძლევა, დაუბრუნდეს კანონმორჩილ ცხოვრებას და საზოგადოებას, რაც მისი შემდგომი ცხოვრების ნორმალურად წარმართვის საწინდარია, ვინაიდან ყოველი დანაშაულის ჩამდენი პიროვნების უკან დგას მისი ოჯახი და ახლობლები. პირობითი მსჯავრი სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილი კეთილი ნებაა, საბოლოოდ არ მოახდინოს პიროვნების დამნაშავედ ეტიკეტირება და მას გამოსწორების შანსი მისცეს.

### თავი III

#### კვლევის შედეგები

ნაშრომში განხილული იქნა პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ასპექტში. პირობითი მსჯავრი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის არც ერთი სახე არ არის, თუმცა, იგი სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებაა და არ უკავშირდება ბრალდებულის მიმართ შეფარდებული სასჯელის რეალურად მოხდას. მაშასადამე, პირობითი მსჯავრი სასჯელის გარეშე არ არსებობს, ხოლო სასჯელი კი, ლიტერატურაში არსებული

მოსაზრების შესაბამისად - დანაშაულის გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ლოგიკურად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული დანაშაული, სასჯელი და სასჯელის პირობითად ჩათვლა, ნაშრომი დაწყებულია დანაშაულის ცნების განხილვით და იგი წარმოჩენილია სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი კუთხით. დანაშაულის ცნების განხილვის შემდგომ მსჯელობა მიმართულია დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზებისკენ, რომელიც კრიმინოლოგიურ ჭრილშია განხილული. მოცემულ შემთხვევაში, კვლევის ანალიტიკური და სინთეზური მეთოდების გამოყენებით წარმოჩენილია დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების შესახებ სხვადასხვა ავტორის მოსაზრება, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებები და გამოთქმულია მოსაზრება ამ მხრივ დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ. მოცემული კვლევის მეთოდების გამოყენებით გაკეთდა დასკვნა, რომ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი ძირითადი მიზეზი, როგორც წარსულში, ასევე დღეს არსებული მდგომარეობით, სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად, არის საზოგადოების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ბრალდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის დროს სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემა - შესაძლებელია თუ არა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, გამოსწორდება თუ არა დამნაშავე და აღდგენილი იქნება თუ არა სამართლიანობა. სასჯელის თითოეული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას ცალკე-ცალკე იქნა განხილული, რა დროსაც გამოყენებულ იქნა კვლევის ლოგიკური და აღწერილობითი მეთოდები. აღნიშნულ მეთოდებზე დაყრდნობით აღინერა სასჯელის თითოეული მიზანი, გამოიკვეთა ძირითადი პრობლემა, სასჯელის რომელი მიზნის მიღწევა ვერ ხერხდება პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს და გაკეთდა ლოგიკური, შესაბამისი დასკვნა: დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა პირობითი მსჯავრის გამოყენების პირობებში სრულყოფილად ვერ ხერხდება, თუმცა, ზოგიერთი დამნაშავისთვის იგი საუკეთესო საშუალებაა საზოგადოებაში ხელახლა დასაბრუნებლად. ახალი დანაშაულის

ჩადენის თავიდან აცილების მიზნის მიღწევა ასევე ინდივიდუალურია და ყოველი კონკრეტული დამნაშავეს მიერ სხვადასხვანაირად აღიქმება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის პირობითად ჩათვლით დამნაშავე ცხადდება პრობაციის ბიუროში, რაც მიუთითებს, რომ იგი მობილიზებულია, მეტ ყურადღებას უთმობს მისი მხრიდან სამართლის ნორმებისადმი მორჩილების საკითხს და ცდილობს თავი აარიდოს ახალი დანაშაულის ჩადენას და ახალ პრობლემებს. ზოგიერთი პიროვნებისთვის - პირიქით, დაუსჯელობის განცდას ქმნის და უფრო წამახალისებელი ხასიათისაა, ჩადინოს ახალი დანაშაული, ვინაიდან ძველის ჩადენის შემდეგ „დაუსჯელი“ დარჩა. რაც შეეხება სასჯელის პირობითად ჩათვლის დროს სამართლიანობის აღდგენის მიზნის მიღწევის საკითხს, აღნიშნული კვლევის მეთოდების გამოყენების შედეგად შედეგად გამოირკვა, რომ სასჯელის პირობითად ჩათვლით ყველაზე უკეთ მიიღწევა აღნიშნული მიზანი, ვინაიდან იგი სასჯელის ინდივიდუალიზაციის საუკეთესო გამოხატულებაა.

კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ნაშრომში პირობითი მსჯავრის განვითარების ისტორია იქნა მიმოხილული, ასევე საუბარი შეეხო პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხის საკანონმდებლო რეგულაციას სხვადასხვა დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ხაზგასმული იქნა ის მსგავსებები და განსხვავებები, რომელიც არსებობდა ახალი კოდექსის ამოქმედებამდე არსებულ სისხლის სამართლის კოდექსებში. გამოითქვა მოსაზრება დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით პირობითი მსჯავრის გამოყენების წესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნაშრომში ყურადღება გამახვილდა პირობითი მსჯავრის გამოყენებაზე სასამართლო პრაქტიკაში და მოცემული კვლევის მეთოდით დადგინდა, რომ იგი აქტუალურია, ვინაიდან სასჯელის პირობითად ჩათვლა ყოველდღიური სამოსამართლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც მისი გამოყენება ხდება როგორც ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, ასევე მოსამართლის მიერ.

## დასკვნა

ნაშრომში განხილულ იქნა პირობითი მსჯავრის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ასპექტში. კვლევის ორი მიმართულებით წარმართვა განაპირობა მისმა იურიდიულმა ბუნებამ - იგი აქტუალური და საინტერესოა სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ვინაიდან დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ძველი კოდექსებისგან განსხვავებულადაა დარეგულირებული მისი გამოყენების საკითხი,

ხოლო კრიმინოლოგიური კუთხით კვლევის ჩატარების საჭიროება გამოწვეულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხით, როგორცაა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასჯელის მიზნების მიღწევის პრობლემა.

პირობითი მსჯავრი სასჯელის გარეშე არ არსებობს, ხოლო სასჯელი კი - დანაშაულის ჩადენის გარეშე, ამდენად, აღნიშნული ინსტიტუტები ერთმანეთთან ლოგიკური ჯაჭვითაა დაკავშირებული, რის გამოც საჭირო გახდა, მსჯელობა დანყებულებით დანაშაულის ცნების განხილვით, დანაშაულის და დამნაშავეობის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სოციალურ-სამართლებრივი ანალიზით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრება, ასევე ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა ავტორის მოსაზრება.

კვლევის ანალიტიკური და სინთეზური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა ავტორის მოსაზრების, საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული პრაქტიკის, პირადი გამოცდილებისა და მოსაზრებების შეჯერების შედეგად გაკეთდა დასკვნა დანაშაულის ჩადენის გამომწვევი ძირითადი მიზეზების შესახებ დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე. აღნიშნული კვლევის ჩატარების საჭიროება განაპირობა საკითხის აქტუალობამ - დამნაშავეობის შემცირების კუთხით საინტერესოა დანაშაულის ჩადენის მიზეზების გარკვევა, რათა იგი დასაწყისშივე აღმოიფხვრას, აღნიშნული კი ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველესი მიზანია.

სასწავლო და სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ სასჯელი დანაშაულის შედეგია, ხოლო პირობითი მსჯავრი - სასჯელის აღსრულების განსაკუთრებული სახე, რის გამოც ნაშრომში წარმოჩენილ იქნა სასჯელის ცნება და მისი მიზნების მიღწევის პრობლემა პირობითი მსჯავრის გამოყენებისას. ნაშრომის ირგვლივ ჩატარებული კვლევა ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოაჩენს პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას, მის დადებით და უარყოფით მხარეებს. კვლევის ლოგიკური და აღწერილობითი მეთოდების

გამოყენებით ცალკ-ცალკე აღინერა-რა სასჯელის თითოეული მიზანი, გაკეთდა შესაბამისი დასკვნა: დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა სასჯელის პირობითად ჩათვლის დროს ვერ ხერხდება, ვინაიდან იგი არ არის სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ეფექტური სადამსჯელო ღონისძიება, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით რეალურად არ არსებობს პრობაციის სამსახური, რომელიც კონტროლს და ზედამხედველობას განახორციელებდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულების მიმართ. პრაქტიკა მონიშნავს, რომ პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში განმეორებით ჩადენილი დანაშაულის არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პირობითი მსჯავრი ვერ აღწევს თავის მიზანს და დამნაშავეს არ უჩნდება საზოგადოებაში დაბრუნების სურვილი. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვანაირადაა შესაძლებელი, ვინაიდან ზოგიერთი დამნაშავისთვის ის არ წარმოადგენს შემაკავებელ ღონისძიებას, ზოგიერთი კი - პირიქით, უფრო მეტად მონესრიგებული და მობილიზებული ხდება, რადგან რეგულარულად ცხადდება პრობაციის ბიუროში და ცდილობს კანონის შესაბამისად მოქცევას. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის მიზანს, ჩატარებული კვლევისას დადგინდა, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს ყველაზე მეტად აღნიშნული მიზანი მიიღწევა - სწორედ ამ დროსაა შესაძლებელი სასჯელის ინდივიდუალიზაცია. ამასთან, საზოგადოებამ უნდა აღიაროს, რომ სამართლიანობა აღდგა, ყველა დამნაშავე ციხეში არ უნდა გამოიკეტოს და დამნაშავის მხრიდანაც უნდა გამოიკვეთოს ის განცდა, რომ მან პასუხი აგო ჩადენილი დანაშაულისთვის.

ნაშრომში საუბარი შეეხო პირობითი მსჯავრის გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში. ჩატარებული კვლევა პრაქტიკული ღირებულებისაა, ვინაიდან სასჯელის პირობითად ჩათვლა ყოველდღიური სამოსამართლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია.

ნაშრომის ირგვლივ ჩატარებული კვლევა უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებს, ვინაიდან კვლევის შედეგად გამოკვეთილია ის პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხი. პრობლემის გამოკვეთასთან ერთად გამოითქვა მოსაზრებები და შემოთავაზებული იქნა მისი გადაჭრის გზები, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ დარგის შემდგომი განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პირობითი მსჯავრის ინსტიტუტს წარმოშობა-განვითარების საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და მის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, ნაშრომის ირგვლივ ჩატარებული კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ ინსტიტუტის დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენა-ხაზგასმის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, მომავალშიც ჩატარდეს კვლევა ამ საკითხის ირგვლივ, რაც ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება-განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

### გამოცემები ქართულ ენაზე:

1. არისტოტელე, რიტორიკა, თბილისი, 1981 წელი
2. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015 წელი

3. გაბუნია მ., სამეცნიერო-პრაქტიკული რეცენზირებული ურნალი „მართლმსაჯულება“, N3, 2008 წელი
4. გახოკიძე ც., გაბუნია მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი
5. დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013 წელი
6. დონჭაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007 წელი
7. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016 წელი
8. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი
9. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4
10. ნანობაშვილი ზ., სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, ურნალი „სამართალი“, N1-2, 1988 წელი
11. ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011 წელი
12. ნაჭყებია გ., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002 წელი
13. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის საგანი, თბილისი, 1997 წელი
14. ნაჭყებია გ., მსჯავრდებულის „მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის, ურნალი „სამართალი“. N3-4, 1995 წელი
15. პრადენლი უ., შედარებითი სისხლის სამართალი (ეკატერინე სუმბათაშვილის თარგმანი ფრანგულიდან), 1999 წელი
16. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოცემა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010 წელი

17. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013 წელი
18. ტყეშელიაძე გ. და სხვები, სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016 წელი
19. ლლონტი გ., კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში, თბილისი, 2008 წელი
20. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, მეპ წელი
21. შალიკაშვილი მ., ჩიხლაძე დ., პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისთვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013 წელი
22. წულაია დ., კრიმინოლოგიის მნიშვნელობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N3
23. წულაია ზ., კრიმინოლოგია, მეოთხე გამოცემა, თბილისი, 2007 წელი
24. ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი - არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომების შედარებითი ანალიზი). მზია ლეკვეიშვილი - 85. საიუბილეო სტატიათა კრებული, თბილისი 2014

### **გამოცემები უცხოურ (რუსულ) ენაზე:**

1. Гидденс А. „Социология“. М 1999
2. Гилинский Я.И. “Девииантность, Преступность, Социальный контроль”. СПТ.2004
3. Локк Дж., Сочинения, Москва, 1998
4. Массионис Д.Ж. „Социология“. СПТ2004
5. Шаргородский М., наказание по Уголовному праву эксплуататорского общества, Госюриздат ,1957

6. Труды СПТ Юридического института Генеральной прокуратуры РФ. 2001. №3

### **ნორმატიული მასალა:**

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წელი
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წელი
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წელი
4. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, 2007 წელი
5. პატიმრობის კოდექსი, 2010 წელი

### **სასამართლო გადაწყვეტილებები:**

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 26 სექტემბრის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, საქმე N4/305-16
2. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 07 ივნისის განაჩენი, საქმე N1/118-17
3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 16 თებერვლის განაჩენი, საქმე N1/243-17
4. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 12 იანვრის დადგენილება სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების შესახებ, საქმე N4/16-19
5. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 28 თებერვლის განაჩენი, საქმე N1/45-19